# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 24 მაისი 2000 №96 (1118) | ფასი 50 თეთრი


# ვერცხლს სიმწვანე შეეპარა

*„ბათუმთან" გუშინდელი მოგებით „ვიტ ჯორჯიამ" საქმე ისე მოიწყო, ბოლო ტურში უკვე ჩემპიონ „ტორპედოსთან" სტუმრად თამაშისას ფრეც ხელს აძლევს. „დინამომ" „დილა" შინ რომც დაამარცხოს, თუ ვიტელები ქუთაისში ქულას მოინადირებენ, ვერცხლის მედლებსაც აღარავის დაანებებენ.*

საქართველოს ჩემპიონატი

## 13 ტური

| «ა» ზონა<br>23 მაისი, სამშაბათი | | «ბ» ზონა<br>23 მაისი, სამშაბათი | |
|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 2 | გორდა | 2 |
| ბათუმი | 0 | თსუ | 0 |
| სიონი | 0 | ხობი | 0 |
| დინამო | 2 | სამგურალი | 2 |
| კოლხეთი | 1 | თბილისი | 2 |
| იბერია | 0 | არსენალი | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 13 | 8 | 3 | 2 | 37:11 | 45 |
| ვიტ ჯორჯია | 13 | 8 | 4 | 1 | 15:7 | 40 |
| დინამო | 13 | 4 | 9 | 0 | 13:3 | 38 |
| კოლხეთი | 13 | 7 | 3 | 3 | 18:8 | 37 |
| ბათუმი | 13 | 7 | 2 | 4 | 20:10 | 36 |
| სიონი | 13 | 2 | 1 | 10 | 12:32 | 18 |
| იბერია | 13 | 2 | 2 | 9 | 6:28 | 17 |
| დილა | 13 | 2 | 0 | 11 | 9:31 | 16 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი | 13 | 8 | 4 | 1 | 16:5 | 36 |
| გორდა | 13 | 8 | 2 | 3 | 24:8 | 34 |
| ლოკომოტივი | 13 | 7 | 3 | 3 | 20:7 | 33 |
| თსუ | 13 | 8 | 0 | 5 | 19:13 | 32 |
| სამგურალი | 13 | 7 | 3 | 3 | 15:7 | 30 |
| თბილისი | 13 | 3 | 2 | 8 | 11:24 | 18 |
| არსენალი | 13 | 3 | 0 | 10 | 11:25 | 14 |
| ხობი | 13 | 1 | 0 | 12 | 11:38 | 8 |



გუშინ მცხეთაში: „ვიტ ჯორჯია" — „ბათუმი" 2:0. სტუმართა მეკარე ნიკოლოზ ტოგონიძე და მცველი ზურაბ არჩვაძე ვიტელი თავდამსხმელის, გიორგი ქორიძის შეტევის მოგერიებას ლამობენ

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# მხოლოდ 90 წუთი

## როდესაც მეფე და ქვეშევრდომი თანაბრდება



დღევანდელი მატჩის შედეგის მიუხედავად, ვისენტე ...ელ ბოსკე „რეალში" კიდევ ერთ წელიწადს დარჩება

„თასის მოპოვებისთვის ევროპის მეფეთა დამარცხება გვჭირდება, მაგრამ მწამს, რომ საამისო ძალა შეგვწევს" — განაცხადა ჩემპიონთა თასის ფინალის წინ პარიზს ჩასულმა „ვალენსიას" მწვრთნელმა, არგენტინელმა ექტორ კუპერმა.

დღეს, „სტად დე ფრანსზე" ესპანური ფინალია: „რეალი" — „ვალენსია", დედაქალაქის გუნდი პერიფერიისას ხვდება.

„თუ დავმარცხდებით, გარწმუნებთ, ეს გამოუცდელობის ბრალი არ იქნება. ჩვენთან სხვადასხვა ნაკრების ბევრი ფეხბურთელი თამაშობს. მათ როგორც ევროპულ, ასევე მსოფლიო სარბიელზე უმაღლესი რანგის მატჩები ჩაუტარებიათ. ასე რომ, გამოცდილება არაფერ შუაშია" — დასძინა კუპერმა.

„რეალის" კაპიტანმა, ფერნანდო რედონდომ კი ბრძანა: „ჩვენ ერთხელაც უნდა ალვივსოთ იმ სულისკვეთებით, რომელმაც ბოლო დროს დიდებული გამარჯვებები მოგვიტანა. მართალია, „ვალენსიასთან" შედარებით ტიტულოვანი გუნდი ვართ, მაგრამ 90 წუთიან თამაშში ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. მეტოქემ ფინალისკენ გზა უშეცდომოდ განვლო. ვგონებ, წინ ძალიან ლამაზი მატჩი გველის. ნიძლავს ჩამოვალ, ჩემპიონთა თასის ბედს ვინმეს ინდივიდუალური გაბრწყინება გადაწყვეტს".

იხილეთ მეექვსე გვერდი



ექტორ რაულ კუპერი: გვწამს, რომ გავიმარჯვებთ

საქართველოს ჩემპიონატი მეორე ეტაპი **13 ტური**

# ვერცხლს სიმწვანე შეეპარა

მცხეთა
23 მაისი
18 საათი
არმაზი
3 000 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 2:0 ბათუმი**

1:0 ყიფიანი (11), 2:0 ჭანკოტაძე (80)
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ჯ. მუჯირი, ჭანკოტაძე, საჯაია, თოდუა, კობიაშვილი, ლ. ნოზაძე, ყიფიანი, დ. დოლიძე, ვ. გოჩაშვილი (რ. გოცირიძე 58), გიორგი ქორიძე (დილმელაშვილი 82)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ზ. გვაზავა, ი. ხაჭაპურიძე, მორჩილაძე, კოტორაშვილი
**ბათუმი:** ტოგონიძე, მინდაძე, მ. მახარაძე (აფხაზავა 46), არჩვაძე ხუჯაძე, სიდამონიძე (ქაცარავა 83), ი. მახარაძე, თედორაძე (გელა ქორიძე 63), ხომერიკი, ა. მუჯირი, რომანაძე
*სათადარიგონი:* ჩლაიძე; სიხარულიძე, სიამაშვილი, დარჩიძე
**გაფრთხილება:** ა. მუჯირი (37), მ. მახარაძე (43), არჩვაძე (54)
**გაძევება:** მ. მახარაძე (შესვენებისას, შეცვლის შემდეგ), არჩვაძე (78)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ვ. ჩოჩიშვილი, ზ. ჯვარიძე; ს. კახიანი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან

„ბათუმმა" ვერც ამჯერად გატეხა ნავსი, ვერც მცხეთაში დაჯაბნა „ვიტ ჯორჯია". ორიოდ წლის წინათ დაწყებული ტრადიცია კი არც ამჯერად დარღვეულა. შინ თუ გარეთ, არა აქვს მნიშვნელობა, ვეტერინარები ზღვისპირელებს ჩაგრავენ.

ვერ გეტყვით, დაებედა თუ... ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ამ ორი გუნდის დაპირისპირება უსკანდალოდ არ დამთავრდება. ბათუმურ მატჩს „ვიტ ჯორჯიას" ავტობუსი შეეწირა, მცხეთურ თამაშსაც არ მოკლებია აყალმაყალი და დავიდარაბა.

ჩვენ გუშინდელი მატჩის ყველა სადაო მომენტს განვიხილავთ, მაგრამ მანამდე ერთ ფაქტსაც მოგახსენებთ: ჯერაც ვერაფერს ვიტყვი „ბათუმის" იტალიელი მწვრთნელის კვალიფიციურობაზე, მაგრამ სინიორ ჯანი ჯენტლმენურ ქცევასა და ეტიკეტს არასდროს ღალატობს. თამაშის შემდეგ ნერვებმოშლილმა მწვრთნელმა ემოციების დაოკება შეძლო, ლამის სათითაოდ ჩამოუარა ახალგაზრდა ვიტელებს და გამარჯვება მოულოცა. სამაგიეროდ, „არმაზზე მისულ არაერთ პატივცემულ პიროვნებას ზრდილობა, ეტყობა, შინ დარჩა.

არა, ქომაგი შეიგინება და ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ როცა სტადიონზე მხოლოდ ფეხბურთის საცქერლად ხარ მისული, არავის ქომაგობ და საფეხბურთო საქართველოშიც გვარიანი წონა გაგაჩნია, ფეხბურთელის გინება არ გეკადრება. იგივეს ვიტყვი ფეხბურთელებზეც. მოთამაშეს მინდორზე ბურთის გორება ევალება და არა ქომაგის ყველა შეძახილის კასაცია.

გუშინ „ვიტ ჯორჯიამ" თავის ტრადიციულ სტილს, კონტრშეტევებზე თამაშს, უღალატა და „ბათუმს" პირველი წუთიდანვე შეუტია. მეათე წუთი იწურებოდა. საჯარიმოს შორიახლოს, მარჯვენა მხარეს გიორგი ქორიძისა და მცველის ორთაბრძოლის შემდეგ ბურთმა გვერდითი ხაზი გადაკვეთა. გვერდითმა ჯვარიძემ აუტი ანიშნა „ბათუმის" სასარგებლოდ, არბიტრმა ლაცაბიძემ კი სტუმარი მცველი დააჯარიმა.

ერთი შეხედვით სრულიად უხიფათო ჯარიმა იყო. ბურთთან ყიფიანი მივიდა, გაისწორა, გამოექანა და ვერ გეტყვით, განზრახ კარში დარტყა, თუ შემთხვევით მოიჭრა უცნაურად ბურთი. ფაქტი ერთი იყო, ბურთი გასცდა ყველას, მიწიდან ასხლეტილი კარის შორეულ ძელს მოხვდა და ტოგონიძის კარში აღმოჩნდა.

პირველი ტაიმის დანარჩენი დროც მასპინძელთა იერიშებში გაილია. ვიტელებს ჰქონდათ რამდენიმე ისეთი მომენტი, საიდანაც გოლის გატანა შეიძლებოდა, მაგრამ დამამთავრებელ ფაზაში ვერ ვარგობდნენ. „ბათუმი" კი... ასე მარტო მე არ მომჩვენებია, თითქოს სტუმრები ვინმეს ხათრით იყვნენ სათამაშოდ გამოსულები. მეტად უფხოდ ირჯებოდნენ. პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ გაითამაშეს აზრიანი კომბინაცია, რომელიც ამირან მუჯირმა ძლიერი დარტყმით დაასრულა, მაგრამ ჭურაძემ ბურთი ადგილზე გააქვავა.

მალე შესვენების დროც დადგა და გუნდებიც, თითქოს მშვიდობიანად დანაწილდნენ გასახდელში, მაგრამ არეულობაც სწორედ იქიდან დაწყებულა. რაღაც ჩოჩქოლი კი შეინიშნებოდა და ეჭვებიც მას შემდეგ გაძლიერდა, როცა სტუმართა გუნდის ადმინისტრატორმა ვალერი მაჩხელიანმა „ბათუმის" ტექნიკური დირექტორი თამაზ ცინარიძე სტადიონის ლოჟიდან გასახდელში ჩაიხმო.

საბოლოოდ ყველაფერი თამაშის დამთავრების შემდეგ გაირკვა. მანამდე კი გვეგონა, მალხაზ მახარაძის გარჯით უკმაყოფილო კარნევალიმ კაპიტანი აფხაზავათი შეცვალა... სიმამვილეში სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ლაცაბიძეს მალხაზ მახარაძე შესვენებისას გაუძევებია, ოღონდ მაშინ, როცა ცვლილება უკვე შემდგარი ყოფილა, რომელიც თამაშის ოქმში გახლდათ.

ასე მოგვახსენა მატჩის შემდეგ მეოთხე მსაჯმა სოსო კახიანმა, თუმც ბევრს, მათ შორის მეც, ამ სიტყვების სიმართლეში ეჭვი შემეპარა, ხომ არ გაუძევებიათ მახარაძე ცვლილებამდე, ანაც აპირებდა კი საერთოდ კარნევალი კაპიტნის გამოცვლას? სადაო საკითხია და სიმართლეც მხოლოდ მსაჯებმა და ბათუმელებმა იციან.

მეორე ტაიმში, განსაკუთრებით საწყის ათ-თხუთმეტ წუთში, „ბათუმმა" თამაში გაათანაბრა. სტუმრები სულ უფრო ხშირად ჩნდებოდნენ მასპინძელთა ნახევარზე და წამდაუწუმ აწუხებდნენ ვიტელთა უკანა ხაზს, მაგრამ აშკარა საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. „ბათუმი" ორიოდ კუთხურსა და ამდენჯერვე კარში დარტყმას დასჯერდა, რომელთაგანაც სახიფათო ჭურაძისთვის არც ერთი იყო.

ასე თამაშ-თამაშ ილეოდა დრო. ხისტ ბრძოლაში ჯარიმების რიცხვმა ერთიორად იმატა, ექიმებმაც მოუხშირეს მინდორზე შესვლას.

...და დადგა 78-ე წუთი. მოედნის სიღრმიდან ბათუმელთა კარისკენ გრძელი გადაცემა გაკეთდა. ბურთისკენ გოცირიძე და არჩვაძე გარბოდნენ. სტუმარმა დაასწრო მასპინძელს, ფეხი გაიქნია და... ძალიან ძნელია, დაამტკიცო ზურაბ არჩვაძემ ბურთი ტოგონიძეს მიაწოდა თუ იგი უბრალოდ მოეჭრა ფეხიდან. ბათუმელთა მეკარემ ბურთი აიღო და ლაცაბიძეს სასტვენმაც არ დააყოვნა. თავისუფალი საჯარიმო დარტყმა.

მსაჯის გადაწყვეტილებამ წონასწორობა დააკარგვინა არჩვაძეს. ზურამ ლაცაბიძეს შეაგინა. მსაჯმა წითელი ბარათი ამოიღო თუ არა, ფეხბურთელი არბიტრს გაეკიდა და ხელი გაჰკრა. ვერ გეტყვით, რა მოხდებოდა, რომ არა ტოგონიძის (აქამდეც არაერთხელ ნანახი) შესაშური რეაქცია, ნიკა წამის მეათედებში თანაგუნდელთან გაჩნდა და შებოჭა. იქით ხომერიკმა ივარგა და რომელიღაც თანაგუნდელი მსაჯისკენ არ გაუშვა. მინდორზე კარნევალიც შევიდა და ინციდენტიც მალევე ჩაცხრა.

ლაცაბიძემ არჩვაძეც გააძევა და ჯარიმაც დანიშნა. ყიფიანმა ჭანკოტაძეს დაუგორა, ხოლო მისი დარტყმული ვერც ცოცხალმა კედელმა შეაჩერა, ვერც ჭანკოტაძისკენ გაფრენილმა ორმა ბათუმელმა ფეხბურთელმა და ვერც მეკარემ. ისე, გიორგის გატანა მანამდეც შეეძლო, როცა ჯარიმიდან მისი დარტყმული ბურთი კარის ჯვარედინს მოხვდა და მინდორი დატოვა.

ამის მერე „ბათუმი" თავისთავს ა... ჰგავდა. კარნევალიმ ნერვებმოშლილ სიდამონიძეც მალევე შეცვალა და დ... რჩნენ სტუმრები ორი მცველის ამ... რა. „ვიტ ჯორჯიასაც" სულ ცო... ორი გოლის გატანაც შეეძლო, მა... გრამ სამიზნე ვერ გაისწორეს ვეტერინარებმა.

და მაინც, საინტერესოა, არჩვაძე შეგნებულად მიაწოდა ტოგონიძეს ბურთი თუ უბრალოდ უხერხულად მოჭრა? არ დავმალავ და ვიტყვი, რომ ტრიბუნიდან არჩვაძის ქმედება პა... ჰგავდა, თუმც ფეხბურთელი საპირისპიროს ამტკიცებს.

„არმაზზე" ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლ... რია იმყოფებოდნენ. მატჩის ინსპექტორი, საშეჯიბრო კომიტეტის უფროსი გია ფირცხალავა იყო. მცხეთაში გა... ხლდათ სამსაჯო კომიტეტის თავ... ცი ანატოლი მილჩენკოც.

ჩვენ, ბუნებრივია, ამ საკითხს კი... დევ ერთხელ დავუბრუნდებით. ი... დია, ფედერაციის შესაბამისი სამ... ხური გუშინდელი მატჩის ყველა ს... დაო მომენტს განიხილავს და გა... მცნობს, რომელსაც ჩვენეულ კომ... ტარსაც დავურთავთ.

მანამდე კი „ბათუმმა" „ვიტ ჯორჯი... ას" ვერცხლის დაუფლების ჩინებული შანსი ვერ წაართვა და ბოლო ტურის წინ ოდენ მეხუთეა.



„ვიტ ჯორჯიას" მეგოლენი გიორგი ყიფიანი და გიორგი ჭანკოტაძე

ბადრი ქვითილაძე მცხეთიდან



თავისუფალი საჯარიმო სტუმართა კართან: გიორგი ყიფიანის (№20) დაგორებული და გიორგი ჭანკოტაძის (№21) დარტყმული ბურთი კარში გადის

ბადრი ქვითილაძე მცხეთიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ხდება მცხეთაში?

ბოლნისი
23 მაისი
18 საათი
თემურ სტეფანია
1 000 (ტევადობა 3 000)

**სიონი 0:2 დინამო**

0:1 მონასელიძე (11), 0:2 არველაძე (48)
სიონი: ვოლკოვი, დიმიტრიშვილი, ვ.მაისურაძე, სვანიძე (მ. სამხარაძე 46), ნ. მინდიაშვილი, მ. გოგოლაძე, მოსეშვილი (ა. ბოკერია 79), ისიანი, სოლოღაშვილი, კ. გოგოლაძე, დ. ჯაფარიძე (ბ. შენგელია 46)
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; თ. სამხარაძე
დინამო: გრიშიკაშვილი, შაშიაშვილი, ქემოკლიძე, დიდავა, ა. სახვაძე, გაბიდაური (ო. გველესიანი 58), სიჭინავა, არველაძე, მონასელიძე (წიტაიშვილი 46), გ. შენგელია, დათუაძე
*სათადარიგონი:* ა. ჩიხრაძე; ჩხეიძე
გაფრთხილება: სახვაძე (36), სოლოღაშვილი (62)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ.მაისურაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. მიმინოშვილი

პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან

ᲐᲘ, კითხვა, რომელიც მთელ მატჩს ლაიტმოტივად გასდევდა. მცხეთაში „ვიტ ჯორჯია" „ბათუმს" უგებდა და დინამოელთა სატკივარიც ეს იყო. იმ მატჩის შედეგს კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „სიონის" გუშინდელი სტუმრისთვის. ტრიბუნიდან კი ჩანდა, რომ თბილისელი ფეხბურთელები ფიქრით მცხეთაში იყვნენ, თუმც ამას მათთვის მატჩის სასურველი ანგარიშით დამთავრებაში ხელი არ შეუშლია. „დინამომ" სულ ღიღინ-ღიღინით ჩაამთავრა თამაში — ორი გოლი და მორიგი სამი ქულაც შეიმატა. და „სიონი"? მაჟორულ ნოტაზე უწევთ ქვემოქართლელებს პირველობის ჩამთავრება. ზედიზედ სამ საშინაო მატჩში დამარცხებულ ბოლნისელებს „თემურ სტეფანიაზე" უკვე მეხუთე (ზედიზედ) მოუგებელი შეხვედრა მოუგროვდათ. ასეთი რამ კი „სიონს" აქამდე, გაცილებით შეჭირვებულ დროსაც კი არ დამართნია.

არადა, მატჩამდე რამოდენიმე დღით ადრე ბოლნისელები დიდი ბრძოლის გადახდას პირდებოდნენ „დინამოს". სპარტაკ არჩვაძემ ძირითად შემადგენლობაში ჯერაც ტრავმამოუშუშებელი დავით სოლოღაშვილი დააყენა და არბიტრის სასტარტო სასტვენამდე ბოლნისელი გულშემატკივრები ხელებს იფშვნეტდნენ, ნახავთ, რა დღეც დაადგება „დინამოსო", მაგრამ...

სტუმრებს ჯერ კიდევ მერვე წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, რეზო არველაძე პირისპირ შეუხვდა ვოლკოვს, მაგრამ ოდნავ ააცილა ბურთი მასპინძელთა კარს. ორი წუთის შემდეგ მონასელიძის ფლანგურ ჩაწოდებულს გიორგი შენგელიას გაწოლილი თავური მოჰყვა — ვოლკოვმა ნახტომში შეძლო ბურთის კუთხურზე გადაგდება. კუთხურიდან ბურთი რეზო არველაძეს მიუვიდა, მისი საჯარიმოში ჩაწოდების შემდეგ კი გოლიც გავიდა — მონასელიძემ წონასწორობა დაკარგულ ვოლკოვს მარჯვენა კუთხეში თავით გაუტანა. გოლის მერე მატჩი კვლავაც სტუმართა უპირატესობით გაგრძელდა. ეს კი ძირითადად „დინამოს" ნახევარმცველთა მონდომებული და შეთანხმებული თამაშის შედეგი გახლდათ, ამ სამეულს თავიანთ პოზიციებზე ყველაფერი გამოსდიოდა და თავდასხმაში მათ პარტნიორებს მეტი სიფხიზლე რომ გამოეჩინათ, „დინამო" შესვენებამდეც მოითავებდა საქმეს. მაგრამ გიორგი შენგელიამ (სამჯერ) და დათუაძემ (ორჯერ) ვერაფერი მოუხერხეს ვოლკოვს. ბოლნისელებმა მეორე ნახევარი რიხით დაიწყეს, მათი პირველივე შეტევა ლამის გოლით დასრულდა — სოლოღაშვილი მარცხენა ფლანგზე გაექცა ქემოკლიძეს, სიონელის საჯარიმოში ჩაკიდული ბურთი კი ბოლო წამს კახა გოგოლაძეს თავიდან ააცალა დიდავამ. „დინამომ" სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო და არველაძემ ორამდე გაზარდა ანგარიშში სხვაობა — რეზო, დათუაძის გამოზომილ პასს საჯარიმოში შეჰყვა და კარიდან ოდნავ წინ გამოსულ ვოლკოვს ტექნიკურად შემოატარა ბურთი. აქ „დინამომ" საქმე მომთავრებულად ჩათვალა და არც შემცდარა, „სიონი" მხოლოდ ისიანის რამდენიმე ფლანგური გარღვევით და სოლოღაშვილის ოსტატური პასით დაკმაყოფილდა. მათ ამგვარ მცდელობას კი განსაკუთრებული ხიფათი არ შეუქმნია გრიშიკაშვილისთვის, თუმც მატჩის მიწურულს მან აშკარა გოლს გადაარჩინა თანაგუნდელები — პირისპირ შეყრილ კახა გოგოლაძეს საჯარიმოს ხაზიდან ძლიერად დარტყმული ბურთი კუთხურზე გადაუგდო. „დინამოს" კი რამდენჯერმე მართებდა ანგარიშის შეცვლა, მაგრამ თავდასხმა ყველაზე სუსტი იყო — შეცვლილ გიორგი შენგელიას არც წიტაიშვილი ჩამორჩა და ოთხჯერ (!) ისეთი მომენტი გააცუდა ახალგაზრდული ნაკრების წევრს ნამდვილად არ ეკადრება.

მოგებას სტუმართა განსაკუთრებული ემოცია ნამდვილად არ მოჰყოლია. მცხეთაში „ვიტ ჯორჯიამ" იმარჯვა და „დინამო" ინტერტოტოს საგზურს მიაახლოვა.



სტუდენტები არბიტრ ავთანდილ შალამბერიძესთან გიორგი ადამიას გაძევებას აპროტესტებენ

# გორდა თორმეტშია

რუსთავი
23 მაისი
18 საათი
ფოლადი
1 200 (ტევადობა 10 700)

**გორდა 2:0 თსუ**

1:0 კიტეიშვილი (66), 2:3 ვ. კილასონია (81)
გორდა: ბედიაშვილი, მჭედლიძე, ბექაური, მ. სახვაძე, ბერიძე, ვ. კილასონია, მელაძე, გ. კილასონია, ა. ბუკია (კიტეიშვილი 46), კ. ალადაშვილი (ბაჩილავა 72), ზ. ლაბაძე (პატარიძე 62)
*სათადარიგონი:* გონგაძე; სილაგაძე, წიკლაური
თსუ: გუგუნავა, ლობჟანიძე (გ. გოცირიძე 76), ინწკირველი, ებრალიძე, სვანაძე (ქადაგიძე 46), ადამია, დეკანოსიძე (ახალაძე 70), ბ. ნოზაძე, კვიციანი, მაზიაშვილი, ერაძე
*სათადარიგონი:* მერლანი; ბარქაია
გაფრთხილება: ადამია (23), სვანაძე (24), გ. კილასონია (32), მჭედლიძე (33), სახვაძე (36)
გაძევება: ადამია (23)
მსაჯები: ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; მ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

კობა ინასარიძე რუსთავიდან

ᲐᲮᲚᲐ უკვე ამოისუნთქეს რუსთაველებმა. გუშინდელი სამი ქულით, რომელიც არც თუ ისე დიდი ბრძოლით მოიპოვეს, მათ გაინაღდეს სამომავლოდ კვლავ უმღლიერესთა ლიგაში თამაში. მაინცდამაინც ბევრი სანერვიულო არც სტუდენტებს აქვთ, ბოლო ტურში „ხობს" მასპინძლობენ და სასწაული უნდა მოხდეს, ქულები დაკარგონ — პირველ წრეში სტუმრად ოთხი გოლი გავუტანეთ, პირწმინდად დავჩაგრეთ ხობელები და ახლა, მცხეთაში რა ღმერთი გაგვიწყრება, მათ ვერ ვმლიოთო — ამბობდნენ თბილისელები და ალბათ ამით აიხსნება მატჩისას მათი ინერტულობაც. შთაბეჭდილება იქმნებოდა, თსუ-ს თამაში ეზარებოდა. თავად განსაჯეთ ერთობ პერსპექტიული ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა გუნდმა მეორე ტაიმში „გორდას" კარისკენ სულ ერთხელ დაარტყა, ისიც მაშინ, როცა მასპინძლებს საქმე მოთავებული ჰქონდათ და ორი გოლი გატანილი.

შესვენებამდე კი თამაშს არა უშავდა. მიუხედავად იმისა, რომ „გორდამ" ორჯერვე მეორე ტაიმში გაიტანა, საცქერლად პირველი სჯობდა. თსუელებიც ოდნავ მეტს მოძრაობდნენ და ერთ-ორჯერ ბედიაშვილის კარსაც სახიფათოდ დაემუქრნენ. ერაძემ, რომელიც 45 წუთის განმავლობაში ყველასგან გამოირჩეოდა, ჯერ შორიდან მოჭრილი დაურტყა რუსთაველთა მეკარეს, მერე ძელიც შეაზანზარა და პარტნიორებსაც რამდენჯერმე გადააწოდა კარგი პასი, ერთხელ კი სწორედ მისი გადაცემის შემდეგ გააცუდა ნოზაძემ ძალიან კარგი მომენტი — თითქმის ცარიელ კარს ააცილა. თსუ პირველ ტაიმშივე კაცნაკლული დარჩა, მაგრამ ეს არც დასტყობია, ყველა ნორმალურად თამაშობდა. მერე და მერე კი... არც გაშვებულ გოლებს დაუდარდიანებია სტუდენტები. ყოველ შემთხვევაში გარეგნულად არაფერი ეტყობოდათ.

პირველ ტაიმში შექმნილი მომენტებით „გორდა" ვერაფერს გამორჩა. ვარლამ და გია კილასონიების რამდენიმე ჩინებული დარტყმული გუგუნავამ უკუაგდო, მაგრამ სამაგიეროდ შესვენების შემდეგ...

მასპინძლები კიტეიშვილმა დააწინაურა: ვარლამ კილასონიას მარჯვნიდან ალადაშვილმა რომ ჩაუწოდა, ბურთს რუსთაველთა მეგოლემ ცაცია შეაგება და კარში უძლიერესად დაარტყა. გუგუნავამ იყოჩაღა, მაგრამ მერე, ასხლეტილ ბურთს თავი ისევ ვარლამმა დაჰკრა და ძელთან ახლოს მყოფმა კიტეიშვილმა გაიტანა. 15 წუთში კი ვარლამ კილასონიამ, რომელიც ბოლო დროს მინდორს უგოლოდ არ ტოვებს, თსუ-ს ერთი ბურთიც შეუგდო — საჯარიმოში მცველებს დაასწრო და... ეს უკვე მომავალ ჩემპიონატში რუსთაველთა საუკეთესო თორმეტეულში თამაშს ნიშნავს.

# რას აღარ ნახავ

თბილისი
23 მაისი
17.55 საათი
ისანი
200 (ტევადობა 3 000)

**თბილისი 2:0 არსენალი**

1:0, 2:0 გადელია (21, 27)
თბილისი: მამალაძე, ზვ. ლაბაძე (ყუფარაძე 50), კანდელაკი, დ. ტყებუჩავა, ჩივაძე, ი. შენგელია, ამაშუკელი, ბურდული (ძაგნიძე 46), ნორაკიძე (მუმლაძე 46), ლოლაძე, გადელია
*სათადარიგონი:* სულაქველიძე, მანჭარაული
არსენალი: კუპატაძე, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (კვირკველია 46), ხარებავა, სულაძე, შუკაკიძე, კაკაშვილი, ა. ხმალაძე, ქოიავა, ჩალაძე, გ. ტუღუში
*სათადარიგო:* წოწკოლაური
გაფრთხილება: ბურდული (31), ტყებუჩავა (56)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა)
სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

ვანო ოძროპირიძე

რას აღარ ნახავ კაცი საქართველოს ჩემპიონატში. აგერ გუშინ, „თბილისი" — „არსენალის" შეხვედრის დასრულებას ათიოდე წუთი აკლდა, არმიელებს მეათე ნომერი აკაკი კაკაშვილი რომ დაუშავდათ. თავდამსხმელს კუნთი დაეჭიმა და შესაცვლელი შეიქნა. მატჩის ოქმის მიხედვით სათადარიგოთა შორის „არსენალს" ორი ფეხბურთელი ჰყავდა — კვირკველია და წოწკოლაური. კვირკველია არმიელთა მთავარმა მწვრთნელმა თემურ ცერცვაძემ პირველი ტაიმის შემდეგ გამოიყვანა მინდორზე. ამიტომ კაკაშვილის ნაცვლად წოწკოლაურის გამოჩენას ველოდით. ლოდინი ამაო გამოდგა. წოწკოლაური განაცხადში კი ეწერა, მაგრამ გუშინ „ისანზე" საერთოდ არ ყოფილა. სხვა რა გზა იყო, „არსენალმა" ბოლო წუთები ათი კაცით ჩაატარა.

ისე, ან იმას რა მნიშვნელობა ჰქონდა, ათი კაცით ითამაშებდა რომელიმე გუნდი, თუ ვთქვათ, ხუთით. ეს მატჩი არაფერს წყვეტდა. „თბილისმაც" და „არსენალმაც" თითქმის თვეა, პირველ ლიგას ხელი დაუქნია და მათ ამჟამინდელ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, კარგა ხნითაც (თუ საბოლოოდ არა). გუშინ ორივე გუნდი ვალდებულებას იხდიდა, ისიც ნაძალადევად.

თამაში მოულოდნელად საინტერესოდ დაიწყო — პირველივე წუთზე ლოლაძემ დაარტყა ძალიან სახიფათოდ. „არსენალი" კუპატაძემ იხსნა, ნახტომში მოიგერია ბურთი. ორ წუთში კი უკვე მამალაძემ იმარჯვა, ხმალაძის მზაკვრულად დარტყმული კუთხურზე გადააგდო. მე-5 წუთზე ბურდულმა ლოლაძე მეკარესთან პირისპირ დატოვა, ისევ კუპატაძემ იმარჯვა. ამას 15-წუთიანი პაუზა მოჰყვა, მერე კი...

21-ე წუთზე „არსენალის" დაცვა უხეშად შეცდა. ამით გადელიამ ისარგებლა, კუპატაძესთან პირისპირ გავიდა და ანგარიში გახსნა. სულ მალე ლოლაძემ სცადა მესამედ გატანა, კარიდან წინ გამოსულ კუპატაძეს შორიდან თავზე გადაუგდო ბურთი, თუმც მიზანს ოდნავ ააცილა. 27-ე წუთზე კი ისევ გადელიამ იმარჯვა — ლოლაძის პასით მეკარესთან კვლავ მარტო დარჩა და შანსი არც ამჯერად გაუშვა — 2:0. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ მინდორზე ისეთი რამ ხდებოდა, კაცს იქით გახედვა დაგეზარებოდა. თამაში ისე დასრულდა ერთი მომენტიც აღარ შექმნილა. ეგ იყო გადელიამ გაიტანა გოლი თამაშგარედან, მაგრამ, ბუნებრივია, ფანიაშვილმა არ ჩათვალა.

აღსანიშნავია ისიც, რომ, პირველ ლიგაში „თბილისის" თავკაცის რამაზ მუმლაძის ვაჟის ავთანდილის დებიუტი შედგა, თუმც უმცროს მუმლაძეს ნერვიულობა ეტყობოდა.

და კიდევ, მატჩი დათქმულზე ხუთი წუთით ადრე დაიწყო. მსაჯების თქმით, ამის თაობაზე თავად გუნდებს მიუმართავთ. შეხვედრის ინსპექტორი და არბიტრიც დათანხმებულან. ისე, ეს თამაში სულ რომ არ ჩატარებულიყო, არც ამით დაშავდებოდა რამე, ტრიბუნაზე მოკალათებული რამდენიმე ათეული ქომაგიც დროს თვლემა-მთქნარებაში არ მოკლავდა.



თბილისელმა თემურ გადელიამ (მარჯვნივ) „არსენალს" დუბლი გაუტანა

# მოიგეს, მაგრამ...

სენაკი
23 მაისი
18 საათი
ეგრისი
500 (ტევადობა 3 000)

**ხობი 0:2 სამგურალი**

0:1 სუხიაშვილი (23პ), 0:2 ქუთათელაძე (27)
ხობი: ნიქაბერიძე, ბერაია, კ. ოდიშარია, მ. ბუკია, ზურაბ აიანადი, დ. ჩიტაია, ლ. ვართაგავა, ვ. ჩიტაია, ლ. ბუკია (ლატარია 67), ჭიჭინაძე, ა. ჯიქია
*სათადარიგონი:* აბაკელია; დ. დანელია, ქაშიბაძე, ხურცილავა
სამგურალი: სტურუა, ჭელიძე (ჭყონია 85), ფრანგიშვილი, ბერაძე, სუხიაშვილი, დარსაძე, გიორგობიანი, ბაბუნაშვილი, ჩხაბერიძე (ვოსკანოვი 46), კვერნაძე (ფუტკარაძე 75), ზ. ქუთათელაძე
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ნებიერიძე, გ. გოგოლაძე
მსაჯები: გ. ასკაროლლი; გ. მარლიშვილი (ორივე ქარელი), ლ. რაზმაძე; ზ. ანიაშვილი (ორივე გორი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

თენგიზ ძოჩუა სენაკიდან

„ბ" ზონის აუტსაიდერი „ხობი" იმერელ სტუმრებს კვლავ სენაკში დაუხვდა. დაუხვდა და მშვენიერი მასპინძლობაც გაუწია. ამაზე უკეთესი წყალტუბოელთათვის აბა, რა უნდა ყოფილიყო. მათ სამი ქულა წაიღეს, რაც უძლიერესთა შორის დარჩენის შანსს კიდევ უნარჩუნებთ. არა, ისე არავინ გაიგოს, „ხობმა" სტუმრებს დაუთმოო. ამის თქმა არაფრით შეიძლება. უბრალოდ, თავს ზევით ძალა არ იყო და...

თვით მატჩი ხობელთა უპირატესობით დაიწყო. მათ პირველივე წუთებიდან პრესინგს მიმართეს და წყალტუბოელებს ბურთი არც გააგორებინეს. სტუმრები საკუთარ ნახევარს მიეჯაჭვნენ. მასპინძლებმაც, თამაში წაგვივიდაო და შეუტიეს კიდეც. ყველაფერი საწყის 15 წუთს გრძელდებოდა, მაგრამ ხობელებმა ეს უპირატესობა ანგარიშში ვერ ასახეს და ოდნავ მოეშვნენ. სტუმრებიც თანდათან დალაგდნენ, ბურთიც დაიჭირეს და თვითონაც შეუტიეს. მათი პირველივე სერიოზული შეტევა თერთმეტმეტრიანის დანიშვნით დამთავრდა. მეკარესთან პირისპირ გასული ქუთათელაძე ოდიშარიამ საჯარიმოში მოცელა და ასკაროლლიმ უყოყმანოდ მიუთითა პენალტის ნიშნულისკენ, სუხიაშვილმაც ძლევენი შეირგო და წყალტუბოელები დააწინაურა — 0:1.

ზუსტად 4 წუთის შემდეგ სტუმრებმა კვლავ გაიხარეს. ახლა სუხიაშვილის გარღვევას მოჰყვა ჩაწოდება საჯარიმოში, სადაც მარტო მყოფმა ქუთათელაძემ თავით მეორედ აიღო ხობელთა კარი. აღნიშვნის ღირსია სტუმართა მე-6 ნომრის, ზვიად ქუთათელაძის გარჯა. მთელი მატჩის განმავლობაში ჩინებულად გამოიყურებოდა და დაუფასდა კიდეც.

ეს იყო და ეს. პირველ ტაიმში სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა.

მეორე ნახევრის დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ „ხობი" ვერაფერს გააწყობდა. ჯერ ანგარიში 0:2 ძნელი გასაბათილებელია, მეორეც — სტუმრებს ინფორმაცია მოუვიდათ, რუსთავში 0:0-ია ანგარიშიო და უფრო აღმაფრენით დაიწყეს თამაში.

გოლის გატანის შანსი სტუმრებს კიდევ მიეცათ, მაგრამ ნიქაბერიძე მოწოდების სიმაღლეზე იდგა. მისი გარჯის შემხედვარე ბევრი ამბობს, ასეთი მეკარე არსად მინახავს, სადაც ის დგას, ბურთი ყოველთვის იქ მიდისო.

55-ე წუთზე სტუმრებმა კინაღამ მესამეც გაიტანეს. კვლავ ქუთათელაძე ურტყამდა, ბურთი ჯერ ხარიხას მოხვდა, ხოლო შემდეგ კარის ხაზს დაეცა და უკან გამოვარდა.

ერთადერთი საინტერესო, რაც მასპინძლებმა შეძლეს, ხარიხას მორტყმული ბურთი იყო. ისიც ოდიშარიას ინდივიდუალური ოსტატობის შედეგად. საჯარიმოს კუთხესთან მდგარმა კობამ ბურთი მკერდით აიგდო და შემობრუნებით შეუჩერებლად დაარტყა.

სტუმრებმა კი მოიგეს, მაგრამ მათ ის უფრო აინტერესებდათ, რა ხდებოდა რუსთავში. „გორდამ" იმარჯვაო და...

# ხუჭუას გასაღები

ფოთი
23 მაისი
18 საათი
ფაზისი
2 500 (ტევადობა 6 000)

**კოლხეთი 1:0 იბერია**

1:0 ხუჭუა (36)
კოლხეთი: ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, დავითნიძე, ფანჩულიძე, კიკლიაშვილი, ხუჭუა, ე. გვასალია (ახალკაცი 72), კედელაშვილი, მ. ქობულაძე (შავგულიძე 62), ლალანიძე
*სათადარიგონი:* მ. გვასალია; პაპავა, დ. კვირკველია, გ. ჩიტაია
იბერია: ჩომახიძე, ბიწაძე, ჟვანია, მიქელთაძე, დ. ნოზაძე, ხურციძე (გედენიძე 59), ივეჩიანი, მუმლაძე, კ. ჯანაშია (ნაროუშვილი 63), ს. გიგიაძე, ვ. გიგიაძე
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; დ. ონიანი
გაფრთხილება: ვ. გიგიაძე (29), ბიწაძე (36), ივეჩიანი (45), გედენიძე (61), შავგულიძე (79)
მსაჯები: მ. მალაღურაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა (ყველა თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი)
სფფ-ს დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

გოჩა ჯანაშია ფოთიდან

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ამაზეა ნათქვამი. როცა „კოლხეთმა" პირველ წრეში აშკარად მოსაგები თამაში დათმო სამტრედიაში, მას შემდეგ ისე წაუვიდა საქმე, ბევრს შეშურდებოდა. ექვსთამაშიან წაუგებელ სერიაში ხუთი მოგება დაუგროვდათ კოლხებს, თანაც უმეტესად უშუალო კონკურენტებთან.

და მაინც, სამტრედიული მარცხი ჯერაც გველის ნაკბენივით ახსოვდათ „ფაზისის" ბინადართ და რევანშის სურვილიც ახრჩობდათ. არადა, როგორ აკლიათ ის სამი ქულა ახლა...

„იბერიაში" პირველ მეკარედ ოთარ ვარდანიძე ითვლება. მას უფრო ხშირად უწევს თამაში, თუმც ამ მატჩში იმერელთა კარს ალექსანდრე ჩომახიძე რომ დაიცავდა, ეს დღესავით ნათელი იყო. კოლხთათვის იმ ავადმოსაგონარი წაგების მთავარი შემოქმედი ხომ სწორედ ჩომახიძე იყო და უკეთესს ფრუიძე აბა, ვის ნახავდა. იმერელთა მეკარემ თავისი კოლხეთმცოდნის სახელი ამ მატჩშიც გაამართლა და რომ არა ხუჭუა, ვინ იცის, რა მოხდებოდა.

კარგია, გუნდში სამტრედიელი რომ გყავს. „კოლხეთისთვის" დალუქულ „იბერიის" კარს გასაღები სწორედ სამტრედიელმა მოარგო. კოლხები თავიდანვე შეუდგნენ რევანშზე ფიქრს და უკვე მეორე წუთზე ელდარ გვასალიას თავური ხუთიოდ მეტრიდან კარს ასცდა, თორემ სტუმრებს ჩომახიძე კი არა, მამაზეციერიც ვერ იხსნიდა.

მალე ლალანიძემაც შეგვახსენა თავი, როცა კუთხურის ალამთან შორიახლოს მყოფმა ჩვეულად დააქუხა. იღბალი ისევ სამტრედიელთა მხარეს იყო.

კოლხები აშკარად სჯაბნიდნენ მეტოქეს და ხიფათიც მატულობდა სტუმართა კართან. მე-18 წუთზე წესით გოლიც უნდა გასულიყო, ხუჭუამ ეფექტურად გაუჭრა პასი ფანჩულიძეს და ჩომახიძეს პირისპირ შეატოვა. მოიერიშემ წინ გამოსულ მეკარეს ბურთი თავზე კი გადაუგდო, მაგრამ სტუმართ მშველელად ხარიხა მოევლინათ. ამის შემდეგ „კოლხეთი" ოდნავ მიწყნარდა და თამაშიც მშვიდად გაგრძელდა. ჰოდა, სწორედ მაშინ გავიდა ერთადერთი გოლიც. 36-ე წუთი იწურებოდა, როცა ბიწაძე ლალანიძეს ეუხეშა. სანამ მალაღურაძე დამნაშავეს აყვითლებდა, კოლხებმა ჯარიმა სწრაფად გაითამაშეს და ხუჭუამ მეტოქეს გონს მოსვლა არ აცალა, ისე გაუტანა მახვილი კუთხიდან.

ტაიმის დარჩენილ დროში არაფერი შეცვლილა. აი, მეორე ნახევარი უფრო ნერვიული, დაძაბული და უხეში გამოდგა. „იბერიას" მოვლენების ასეთი განვითარება ხელს არ აძლევდა. გონს მოეგო და მეტოქეს ბრძოლა გაუმართა. პირველ ტაიმში აქტიურ ვასილ გიგიაძეს ტყუპისცალმა სოსომაც აუბა მხარი. მათ კოლხთა უკანა ხაზს პრობლემები შეუქმნეს, თუმცა ხშირ შემთხვევაში კარში დარტყმამდე საქმე არც მისულა.

„კოლხეთი" ისე ყინჩად ვერ იყო, როგორ პირველ ტაიმში, მაგრამ ხიფათი სტუმართა კართან სამ-ოთხჯერ მაინც რიგიანი შექმნა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ჩომახიძის ოსტატობაც. განსაკუთრებით ტაიმის შუაწელის წუთიანი ინტერვალი დაგვამახსოვრდა, მან ჯერ ლალანიძის საჯარიმო უკუაგდო კუთხურზე, იქვე არც მინდორზე ახალგამოსული შავგულიძე გაახარა. დრო იწურებოდა და „იბერიაც" არ ნებდებოდა. იქნებ „კოლხეთსაც" ვერ მოეგო, მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე ნაროუშვილს მეტოქის საჯარიმოში რომ ემარჯვა და ბურთი ნორმალურად დაემუშავებინა. არადა, იმერელთა ახალბედამ გათანაბრების დიდებული შანსი გაუშვა ხელიდან. ბოლო წუთები კვლავაც მასპინძლებისა იყო, მაგრამ ჩომახიძის საიმედო თამაშმა მეტი ვერაფერი ახეირათ. თუმცა სამი ქულისთვის ესეც საკმარისი იყო. წინ კი ზღვისპირული დერბია, „ბათუმი" — „კოლხეთი".





ირაკლისელმა ლევან ქებაძემ (№9) გატანას უმატა

# რა ერჩივნა ალექსიძეს

მთელი სალადმოაზროვნე ევროპა საფეხბურთო სეზონის ფინიშთანაა. ასეთ დროს ლამის დღე არ ჩავარდება უთასისფინალოდ.

ამ უქმეებზე სამ „ქართულ" გუნდს მოუწია სათასო ბრძოლის გადახდა და სამივე გამარჯვებული გამოვიდა.

მართალია, თასის მოგებაში თავის გუნდს არცერთი ქართველი დახმარებია. ზაზა ჯანაშია ტრავმის გამო გამოაკლდა „ლოკომოტივს", რატი ალექსიძემ კი ინგლისური სეზონი ისე დაასრულა, თამაში არც სათასო მატჩში მოუწია.

ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივმა" დამატებით დროში 3:2 მოუგო ცსკა-ს, რომელსაც მეათე წუთიდან რიცხობრივ უპირატესობაში ეთამაშებოდა. გამარჯვების გოლი რკინიგზელთა ტანმაღლამა თავდამსხმელმა ბულიკინმა ოვერტაიმის ბოლო წუთზე გაიტანა.

უჯანაშიო და ფინალში ოფლსაღვრელ „ლოკომოტივს" ნახევარი ძალით გაუჭირდა „სატურნის" ძლევა და ქულათკარგვა „სპარტაკზე" ჩამორჩენად დაუჯდა. რკინიგზელთა მეკარე რუსლან ნიგმატულინის რვამატჩიანი მშრალი სერია „სატურნის" 40 წლის თავდამსხმელმა ნატალუშკომ დაასვედა — 1:1.

„ჩელსიმ" ძირითადშივე მოუგო „ასტონ ვილას" რობერტო დი მატეოს გოლით. მანამდე დენის უაიზმაც გაიტანა, მაგრამ არ ჩაუთვალეს, უაიზი თანაგუნდელის დარტყმამდე და მეკარის მოგერიებამდე პასიურ თამაშგარეში იყო და თანამსაჯმაც ამიტომ გაუუქმა გოლი. სწორედ მსგავს სიტუაციაზე ედავნენ ამასწინათ ალექსიძის ყოფილი თანაგუნდელები „დინამო" — „ტორპედოს" მსაჯებს. უაიზმა კი ეშვები დამალა და თაიმში გააგრძელა.

ნამატჩევს თასის მოგება, როგორც გუნდის სრულუფლებიანმა წევრმა, ისე აღნიშნა რატი ალექსიძემ „ჩელსის" საპარადო ფორმაში გამოწყობილი რატი ლონდონური კლუბის გამარჯვების მოწმე და მონაწილე გახდა.

ცხადია, ალექსიძე არ ინანებდა უოქრომედლოდ დარჩენილი „დინამოს" წუხილს კი არა, ასოციაციის თასის მოგებით გახარებული „ჩელსის" ზეიმს რომ შეესწრო. თანაც ერთიცაა, თასის მოგებამ ჩელსელებს შვებულება გაუხანგრძლივა, უამისოდ კი ინტერტოტოზე სათამაშოდ მზადების დაწყება ადრევე მოუწევდათ.

მესამე გუნდი, ვინც სათასო მატჩიც გამართა, რიგის „სკონტო" გახლდათ. „სკონტომ" ნახევარფინალის საპასუხო მატჩში „დინაბურგს" უმასპინძლა და 4:0 მოუგო. ქართველთაგან მხოლოდ ლევან კორღალიძემ და ზურაბ მენთეშაშვილმა ითამაშეს. კორღალიძე ძირითადში იყო და მოედანზე მთელი მატჩიც გაატარა, მენთეშაშვილი კი მეორე ტაიმში შეცვალეს. დავით ჩალაძე და ალექსანდრე რეხვიაშვილი „სკონტოს" თავკაცმა სტარკოვმა დაასვენა. „სკონტო" ფინალში ლიეპაიას „მეტალურგს" ეთამაშება.

ლატვიის ჩემპიონატის მეშვიდე ტურში „სკონტომ" გუშინ „რიგას" 3:1 მოუგო. ბოლო გოლი შეცვლაზე მოთამაშე ლევან კორღალიძემ გაიტანა.

დასრულდა გერმანიის ჩემპიონატი. ბოლო ტურში „ფრაიბურგმა" 1:2 წააგო „ვოლფსბურგთან" და საბოლოოდ მეთორმეტე ადგილზე გავიდა. წლევანდელ ბუნდესლიგაში იაშვილ-კობიაშვილის დარად ბოლო მატჩი ითამაშა ლევან ცქიტიშვილმა, ვისაც მძიმე ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდა და მხოლოდ ბუნდესლიგის დასაწყისში და ფინიშზე შეძლო თამაში.

შვეიცარიაში დაწინაურდა „ციურიხი", რომელმაც „დელემონს" ჯამარაულის მეხუთე წუთზე გატანილი და ბარტლეტის გოლებით სძლია. წუხელ „ტუნს" კი ბარტლეტისვე ორი გოლით მოუგო. „ციურიხი" ჩავარდნის მერე პირველად აცდა მეთორმეტე ადგილს, რაც საშუალებას აძლევს უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნოს.

წინსვლა დაეტყო ბერძნულ „ირაკლისსაც" — დიდი ანგარიშით ზედიზედ ორი მარცხის მერე, რამაც სალონიკური კლუბი საევროპო ხუთეულს დააცილა, „ირაკლისმა" ზედიზედ მოიგო. ზედიზედვე გაიტანა ძირითადში მოხვედრილმა ლევან ქებაძემაც. კონსტანტინუს ჰეთ თრიქს ქებაძემ მეოთხე გოლი დაამატა. ქართველის თამაშით კმაყოფილი სალონიკელები ახალ კონტრაქტზე ალაპარაკდნენ.

გოდერძი ნატროშვილი „პანახაიკს" დაუბრუნდა, რომელმაც „პანილიაკოსთან" 2:0 მოგებით მეცამეტე ადგილს ორი საფეხურთი აშორდა.

რუსეთელმა და უკრაინელმა ქართველებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. აღსანიშნი მხოლოდ ალექსანდრე გოგობერიშვილის „ანჟის" მოულოდნელი წარმატებაა, რომელიც მესამეზეა და ქართველის დახმარება ჯერაც არ დასჭირვებია.

პოლონეთში მეორეზე გადავიდა მამია ჯიქია „რუხი", ხოჟეველთა ქართველი ნახევარმცველი ჩანს, ბოლო ხანს უკეთ ათამაშდა — „ამიცასთან" უკვე ძირითადში მოხვდა და მხოლოდ მეორე ტაიმის შუაში შეცვალეს.

წარმატებით ათამაშდა ისრაელში გიორგი დარასელიას ქფარ სავას „ჰაპოელიც", რომელმაც წინა ტურში დამარცხებულ ჰაიფას „მაკაბის" ახლასტუმრად ძლეული ფეთაჰ თიქვას „ჰაპოელიც" მიაყოლა. დარასელია საუკეთესო მოთამაშედ ცნეს. ქფარ საველები ებრაულ პრემიერლიგაში დარჩენის საკითხს ბოლო ტურში გადაწყვეტს.

გახოკიძის „მაკაბი" კი ქფარ საველთა კონკურენტ „ბნეი იეჰუდას" შინ დაუზავდა და მესამე საფეხურზე დამკვიდრდა.

მოლდოვაში ჩემპიონატის დამთავრებამდე 5 ტური დარჩა, მაგრამ საეჭვოა, „შერიფმა" 4-ქულიანი უპირატესობა დააძლევინოს „ზიმბრუს". ლიდერთა მატჩი ტირასპოლელებმა მოიგეს, მას შემდეგ რაც „ზიმბრუ" 2:0 იგებდა და ბოლო 12 წუთში 3 გოლი გაუშვა.

ორი ახალი ქვეყანა შეემატა ჩვენს ნუსხას — ბელარუსი და ყაზახეთი. ორივე ქვეყანა გაზაფხულ-შემოდგომის სისტემით თამაშობს და იქაურ ქართველთა ამბებს ზაფხულშიც გამცნობთ.

**ვახტანგ ბზიკაძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| ასოციაციის თასის ფინალი | | | | | | | | |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ნ | ასტონ ვილა 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 1 |
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ვოლფსბურგი 1:2 | 90 | | 33 | 6 | 12 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ვოლფსბურგი 1:2 | 90 | | 22 | 1 | 12 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ვოლფსბურგი 1:2 | 16 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 1 | 12 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | დელემონი 2:0 | 85 | 1 გოლი, შეცვალეს | 30 | 8 | 12 |
| | ციურიხი | შ | ტუნი 2:1 | 0 | | 30 | 8 | 11 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | დელემონი 2:0 | 68 | შეცვალეს | 19 | 3 | 12 |
| | ციურიხი | შ | ტუნი 2:1 | 90 | | 30 | 8 | 11 |
| **საბერძნეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გოდერძი ნატროშვილი | პანახაიკი | შ | პანილიაკოსი 2:0 | 90 | | 17 | 1 | 11 |
| ლევან ქებაძე | ირაკლისი | შ | პროდეფტიკი 4:0 | 90 | 1 გოლი | 10 | 3 | 6 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| თასის ნახევარფინალი | | | | | | | | |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | დინაბურგი 4:0 | 0 | | ? | 0 | ფ |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | შ | დინაბურგი 4:0 | 0 | | ? | 0 | ფ |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | დინაბურგი 4:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | ? | 1 | ფ |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | დინაბურგი 4:0 | 90 | | ? | 1 | ფ |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | რიგა 3:1 | 90 | | 7 | 3 | 1 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | რიგა 3:1 | 90 | | 7 | 2 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | რიგა 3:1 | 34 | შეცვალეს | 6 | 3 | 1 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | რიგა 3:1 | 25 | 1 გოლი, შეცვლაზე ითამაშა | 6 | 2 | 1 |
| ვალერი გაგუა | პოლიციასი | შ | დინაბურგი 0:2 | 35 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 0 | 8 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| თასის ფინალი | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ნ | ცსკა 3:2 | 0 | ტრავმა | 1 | 0 | 1 |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | სატურნი 1:1 | 0 | ტრავმა | 2 | 1 | 2 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | ს | ტორპედო 0:2 | 90 | | 9 | 2 | 15 |
| ლევან სილაგაძე | ალანია | ს | ტორპედო 0:2 | 0 | კლუბთან უთანხმოება აქვს | 6 | 0 | 15 |
| მამუკა წერეთელი | ალანია | ს | ტორპედო 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 5 | 0 | 15 |
| მიხეილ ფოცხვერია | ალანია | ს | ტორპედო 0:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 0 | 15 |
| დავით გვარამაძე | კრილია | ს | დინამო 0:2 | 90 | | 3 | -3 | 11 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრილია | ს | დინამო 0:2 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 2 | 0 | 11 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | ზენიტი 0:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 9 |
| | როსტსელმაში | შ | ანჟი 0:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 10 |
| ალექსანდრე გოგობერიშვილი | ანჟი | შ | ფაკელი 4:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 5 |
| | ანჟი | ს | როსტსელმაში 1:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 3 |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| ზვიად ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | ს | ბალტიკა 3:1 | 0 | | 6 | 0 | 18 |
| გიზო ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | ს | ბალტიკა 3:1 | 85 | შეცვალეს | 9 | 0 | 18 |
| ბახვა ამბიძე | ვოლგარი | შ | ტომი 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 2 | 0 | 16 |
| | ვოლგარი | შ | ტორპედო ზილ 1:3 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 2 | 0 | 17 |
| გოჩა გოგრიჭიანი | ჟემჩუჟინა | ს | სპარტაკ ჩუკოტკა 1:3 | 90 | | 7 | 3 | 13 |
| | ჟემჩუჟინა | ს | რუბინი 0:3 | 57 | შეცვალეს | 8 | 3 | 13 |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კახა კალაძე | დინამო | ს | ჩერნომორეცი 2:2 | 76 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 22 | 1 | 1 |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო | ს | ჩერნომორეცი 2:2 | 90 | | 11 | 4 | 1 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | კრივბასი | ს | მ.მარიუპოლი 2:0 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 5 | 2 |
| ვიტალი დარასელია | ცსკა | შ | ტავრია 3:0 | 0 | სათადარიგო | ? | 0 | 9 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | შ | დნიპრო 1:1 | 90 | | ? | 9 | 15 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | შ | დნიპრო 1:1 | 82 | შეცვალეს | ? | 2 | 15 |
| კახა დგებუაძე | ნივა | შ | დნიპრო 1:1 | 50 | შეცვალეს | ? | 1 | 15 |
| ავთანდილ გვიანიძე | ნივა | შ | დნიპრო 1:1 | 90 | | ? | 0 | 15 |
| ავთანდილ სიხარულიძე | ნივა | შ | დნიპრო 1:1 | 0 | სათადარიგო | ? | 3 | 15 |
| შოთა ჩომახიძე | ნივა | შ | დნიპრო 1:1 | 90 | | 7 | 1 | 15 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | ს | ამიცა 4:1 | 70 | შეცვალეს | 9 | 0 | 2 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გიორგი დარასელია | ჰ.ქფარ სავა | ს | ჰ.ფეთაჰ თიქვა 1:0 | 90 | | 35 | 7 | 11 |
| გიორგი გახოკიძე | მ.ჰაიფა | შ | ბნეი იეჰუდა 1:1 | 90 | | 29 | 2 | 3 |
| **მოლდოვა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ლევან გვაზავა | ზიმბრუ | ს | შერიფი 2:3 | 0 | სათადარიგო | 8 | 0 | 2 |
| დავით მუჯირი | შერიფი | შ | ზიმბრუ 3:2 | 87 | შეცვალეს | ? | 10 | 1 |
| გიორგი რევაზიშვილი | შერიფი | შ | ზიმბრუ 3:2 | 0 | სათადარიგო | ? | 0 | 1 |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი | შ | ზიმბრუ 3:2 | 90 | | ? | 1 | 1 |
| თამაზ პერტია | შერიფი | შ | ზიმბრუ 3:2 | 35 | შეცვლაზე ითამაშა | ? | 0 | 1 |
| **ბელარუსი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზვიად ბურძენიძე | ლიდა | შ | ბატე 2:1 | ? | | ? | 0 | 11 |
| გიორგი თათარაშვილი | კომუნალნიკი | შ | ვერდიჩი 1:3 | ? | | ? | 0 | 16 |
| **ყაზახეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ვასილ სეფაშვილი | ჟენისი | ს | ვოსტოკი 2:1 | ? | 1 გოლი | ? | 2 | 1 |
| გიორგი თაბუკაშვილი | ჟეტისუ | ს | აკმოლა 0:1 | ? | | ? | 0 | 16 |
| გიორგი სიორიძე | შახტიორი | შ | აქსესი 1:2 | ? | | ? | 0 | 9 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*რეალი მადრიდი (ესპანეთი)*

*დაარსდა: 1902 წელს; პრეზიდენტი: ლორენსო სანსი; მენეჯერი: მანუელ ფერნანდეს ტრივო; მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე; კაპიტანი: ფერნანდო იერო; სტადიონი: „სანტიაგო ბერნაბეუ" (ტევადობა 106 500); ესპანეთის ჩემპიონი (27): 1932, 33, 54, 55, 57, 58, 61, 62, 63, 64, 65, 67, 68, 69, 72, 75, 76, 78, 79, 80, 86, 87, 88, 89, 90, 95, 97; ესპანეთის სამეფო თასის მფლობელი (17): 1905, 06, 07, 08, 17, 34, 36, 46, 47, 62, 70, 74, 75, 80, 82, 89, 93; ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (7): 1956, 57, 58, 59, 60, 66, 98; ფინალისტი (3): 1962, 64, 81; თასების თასის ფინალისტი (2): 1971, 83; უეფას თასის მფლობელი (2): 1985, 86; ევროპის სუპერთასის ფინალისტი (1): 1998; საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი (2): 1960, 98; ფინალისტი (1): 1966*

*ვალენსია (ესპანეთი)*

*დაარსდა: 1919 წელს; პრეზიდენტი: პედრო კორტესი*
*მენეჯერი: მანუელ ლორენტე მარტინი; მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი; კაპიტანი: გაისკა მენდიეტა*
*სტადიონი: „მესტალა" (ტევადობა 55 000)*
*ესპანეთის ჩემპიონი (4): 1942, 44, 47, 71; ესპანეთის სამეფო თასის მფლობელი (6): 1941, 49, 54, 67, 79, 99; ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1): 1980; უეფას თასის მფლობელი (2): 1962, 63; ფინალისტი (1): 1964; ევროპის სუპერთასის მფლობელი (1): 1980*

# სამეფოს საზღვრებს გარეთ

## ჩემპიონთა თასი. ფინალი

დღეს პარიზში, „სტად დე ფრანსზე", შავებში გამოწყობილი მადრიდის „რეალი" და ნარინჯისფრად შემოსილი „ვალენსია" ჩემპიონთა თასის ფინალს ითამაშებენ, ხოლო ტრიბუნაზე მსოფლიო ფეხბურთის კლასიკოსი ალფრედო დი სტეფანო იჯდება და მხარს არავის დაუჭერს. თუმცა არა, ცოტათი მაინც „რეალისკენ" იქნება — ასე თქვა თვითონ.

დი სტეფანო ამ შეხვედრაზე ორივე მხარის საპატიო სტუმარია. „რეალის" შემადგენლობაში თამაშისას ხუთჯერ მან სწორედ ის თასი მოიგო, რომელსაც ახალი პატრონი დღეს უნდა გამოუჩნდეს, ხოლო „ვალენსიას" მწვრთნელობისას, 1971 წელს, ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა — გუნდისთვის ჯერჯერობით ბოლო.

ფეხბურთი ულოგიკო თამაშიაო, ამბობენ ხშირად. ერთი შეხედვით მართლა ასეა. აბა, დღევანდელ მოწინაალმდეგეებს გადავხედოთ: ერთი მხრივ დგას „რეალი", რომელსაც ქვეყნის ჩემპიონობა 27-ჯერ უზეიმია, თასი 17-ჯერ ალუმართავს, ევროპის ჩემპიონთა თასს 7-ჯერ დაუფლებია, უეფას თასი 2-ჯერ მოუგია და ამდენჯერვე დასაკუთრებია საკონტინენტთაშორისო თასს. მეორე მხრივ კი „ვალენსია" — ესპანეთის ოთხგზის ჩემპიონი (სამგზის 40-იან წლებში), ქვეყნის თასის ექვსგზის მფლობელი, ორჯერ უეფას თასის წინამორბედი ბაზრობათა თასის მომგები და ერთხელაც აწგაუქმებული თასების თასზე გამარჯვებული. შთამბეჭდავი სხვაობაა, ხომ მართალია?

სწორად გაგვიგეთ, ამ შემთხვევაში „ვალენსიას" „რეალს" ვადარებთ, თორემ ბევრ სხვასთან შედარებით იცოცხლეთ ტიტულოვანია. დიახ, ბოლო დროს გუნდმა ევროპას თავი დაავიწყა და ლიგის ფინალში მისმა გამოჩენამაც — მაშინ, როდესაც შეჯიბრებაში „მანჩესტერ უინაიტედი", „ბაიერნი" „ბარსელონა" და სხვა მქუხარე გუნდები მონაწილეობდნენ — ამიტომაც გამოიწვია გაკვირვება.

თუმცა, სეირის კიდევ ერთი საბაბი არსებობს: 45 წელია, რაც „ბებერ კონტინენტზე" ჩემპიონთა თასს ათამაშებენ და ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ ყოფილა შემთხვევა ფინალში ერთი ქვეყნის გუნდებს ეთამაშოთ.

კიდევ, ცალკე „რეალის" და ცალკე „ვალენსიას" ევროკარიერა რომ დავაჯამოთ, 67 სეზონი გამოგვივა, რომელთა განმავლობაში ეს გუნდები ერთხელ არ გადაყრიან ერთმანეთს — მადრიდელთა და ვალენსიელთა ურთიერთობა სამშობლოს, ესპანეთის სამეფოს არასდროს გასცდენია.

...და დღეს, პარიზში, „სტად დე ფრანსი" პირველად მასპინძლობს ჩემპიონთა თასის ფინალს... სხვათაშორის — არა გვგონია ეს ბევრს ნიშნავდეს, მაგრამ მაინც — „სტად დე ფრანსის" გახსნაზე, 1998 წლის 28 იანვარს, საფრანგეთის ნაკრებთან სწორედ ესპანეთის ეროვნულმა გუნდმა ითამაშა. იმ მატჩის მონაწილეთაგან დღეს მოედანზე მხოლოდ „რეალის" ვარსკვლავი რაული იქნება. გარდა ამისა, პარიზთან დაკავშირებით ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ქალაქში, ოღონდ სხვა სარბიელზე, „პარკ დე პრენსზე", 1981 წელს (თბილისის „დინამომ" თასების თასი რომ მოიგო) „რეალმა" ჩემპიონთა თასის გადამწყვეტი შეხვედრა იმხანად უძლეველ „ლივერპულთან" წააგო. მადრიდელთა შემადგენლობაში გუნდის დღევანდელი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე თამაშობდა.

ახლა, სიტყვამ დელ ბოსკე მოიტანა და ცოტა ხნით მის ხაზს გავყვეთ: ვისენტე დელ ბოსკეს საქმე გაურკვეველია. ვინაა ის? დროებითი მწვრთნელი, რომელსაც გუშინ კლუბის პრეზიდენტმა, ლორენსო სანსმა კიდევ ერთი სეზონით უბოძა თანამდებობა. სანსმა განაცხადა: „დელ ბოსკეს მწვრთნელად ოფიციალურად ვაცხადებ" და დასძინა, რომ ამ გადაწყვეტილებას დღევანდელი შეხვედრის შედეგი ვერ შეცვლის.

დელ ბოსკე, პროლეტარული გარეგნობის ულვაშა კაცი, მთელი ცხოვრება „რეალშია". ჯერ ფეხბურთელი იყო, მერე კი სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. გაჭირვების ჟამს იგი კლუბს არათუ შეეხიდა, არამედ აგერ, სად გაიყვანა, მაგრამ მაინც ფრთხილად უნდა იყოს. პრეზიდენტს, ლორენსო სანსს, ჯერ ერთი, მწვრთნელთა დაუსრულებელი ცვლის მანია აქვს და მეორეც: ორი წლის წინ, როდესაც „რეალმა" ამსტერდამში „იუვენტუსს" სძლია და ჩემპიონთა თასს მეშვიდედ დაეუფლა, პრეზიდენტმა გუნდის მაშინდელი მწვრთნელი, გერმანელი იუპ ჰაინკესი ტრიუმფიდან ერთ კვირაში თანამდებობიდან დაითხოვა. არადა, ჰაინკესის იმიჯი დელ ბოსკეს იმიჯთან შედარებით გაცილებით პრესტიჟული იყო.

დიახ, ორი წლის წინ, „ამსტერდამ არენაზე", „რეალმა" ის თასი მოიპოვა, რომლის მერვედ ალსამართავად დღეს „ვალენსიას" უნდა დაუპირისპირდეს. მადრიდელთა იმ შემადგენლობიდან, „სტად დე ფრანსზე", ძირითადში, ალბათ, სამი ფეხბურთელი იქნება: რობერტო კარლოსი, რაული და ფერნანდო რედონდო. კიდევ სამი, მანუელ სანჩისი, კრისტიან კარემბუ და დაშავებული ფერნანდო მორიენტესი, სავარაუდოდ, სათადარიგოთა სკამზე ისხდებიან (თუმცა, მორიენტესმა, შესაძლოა ძირითადში ითამაშოს), ხოლო ბრაზილიელი სავიო, რომელიც მაშინ შეცვლაზე შევიდა, დაშავებულია და მასზე გადაჭრით ვერაფერს მოგახსენებთ.

ყველა ვთქვით? თითქმის, ერთი ფეხბურთელის გარდა: მეკარე სანტიაგო კანისარესი 1998 წლის ფინალში გერმანელი ბოდო ილგნერის სათადარიგო გახლდათ, დღეს კი... „ვალენსიას" კარს დაიცავს.

„ვალენსიასა" და „რეალზე" საუბრისას კაცს უნებურად წინა სეზონი გახსენდება, როდესაც ქვეყნის თასის ნახევარფინალში, მშობლიურ „მესტალაზე" ვალენსიელებმა დედაქალაქელებს 6:0 მოუგეს.

„ჰეი, სან მარინოელებო" — უყვიროდნენ იმ დღეს „მესტალაზე" შეკრებილი გულშემატკივრები მადრიდელებს — ალბათ, იმას გულისხმობდნენ, ესპანეთის ნაკრებმა სან მარინოს 9:0 რომ მოუგო. მაშინ საპასუხო თამაში, რომელიც „რეალმა" 2:1 მოიგო, სრულ ფორმალობად იქცა. ბოლოს „ვალენსიამ" ფინალშიც გაიმარჯვა.

ოღონდ იმ სეზონში არც „ვალენსიას" წვრთნიდა არგენტინელი ექტორ რაულ კუპერი და არც „რეალს" ზემოხსენებული დელ ბოსკე. პირველი „მალიორკას" ედგა სათავეში და თასების თასის ფინალისთვის ემზადებოდა, მეორე კი მშობლიურ კლუბში რალაც თანამდებობაზე მუშაობდა.

ხოლო ამ სეზონში, როდესაც „ვალენსიამ" კუპერის ხელმძღვანელობით ცუდად დაიწყო, მაგრამ შემდეგ თანმიმდევრული აღმავლობის გზას შეუდგა, დღევანდელ მეტოქეთა შეხვედრები ასე დასრულდა: „სანტიაგო ბერნაბეუზე" კუპერის ბიჭებმა 3:2 მოიგეს (38 წუთში 3:0-ს იგებდნენ), ხოლო მეორე მატჩში 1:1 იყო.

საერთოდ, ისტორიაში, 130 შეხვედრაში, მადრიდელებს „ვალენსია" 66-ჯერ დაუმარცხებიათ, 27-ჯერ ფრედ უთამაშიათ, ხოლო 37-ჯერ დამარცხებულან.

და ბოლოს, თუ დღეს ვალენსიელები გაიმარჯვებენ, გახდებიან მეორენი, ვინც ჩემპიონთა თასზე საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო (იქ მათ ჰაიფას „ჰაპოელს" აჯობეს) და მთელი გზა ტრიუმფით გაიარა. გასულ სეზონში ასეთივე შედეგი ჰქონდა „მანჩესტერ იუნაიტედს", რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპზე ლოძის ლკს-ს მოუგო.

მაშ ასე, დღეს პარიზში, „სტად დე ფრანსზე", ჩემპიონთა თასის გათამაშებაში „ვალენსიას" მე-19 და „რეალის" მე-17 შეხვედრაა, ფინალი, რომელიც პასუხს გასცემს... თუმცა, რაზე გასცემს პასუხს, ყველას კარგად მოგვეხსენება. ამიტომაც ველით დალამებას მოუთმენლად.

**პაპუნა ძიძიძ**



გუშინ „რეალის" პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა ვისენტე დელ ბოსკეს თანამშრომლობის ერთი წლით გაგრძელება შესთავაზა

**სავარაუდო შემადგენლობები**

რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი, კარანკა, ივან კამპო, ელგერა, რედონდო, მაკმანამანი, მორიენტესი, ანელკა, რაული

ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, ბიორკლუნდი, ჯუკიჩი, ანგლომა, ფარინოსი, მენდიეტა, ანგულო, ხერარდი, კილი გონსალესი, კლაუდიო ლოპესი

მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)



23 მაისი. რობერტო კარლოსი სასტუმროს ფანჯრიდან ვერსალს გადაჰყურებს




ჟოსელინ ანგლომა ჩემპიონთა თასს 1993 წელს „მარსელის" შემადგენლობაში ფლობდა, ახლა კი იმავე ჯილდოს მოპოვებას „ვალენსიაში" აპირებს

# ბელგია EURO 2000 ჰოლანდია

# წარმოგიდგენთ მონაწილეებს

Carlsberg FUJIFILM JVC McDonald's PlayStation. PRINGLES Coca-Cola HYUNDAI MasterCard PHILIPS PSINet sportal.com

ამბობენ, შესარჩევი ეტაპის ტრიუმფით გამვლელი ესპანეთი მარტო ჯგუფის კი არა, ტურნირის ფავორიტიცააო, მაგრამ... „მნიშვნელობას ყოველ კონკრეტულ შეხვედრას მივანიჭებთ. ჯგუფი ერთობ ძლიერია და მდგომარეობა ერთიორად გაგვირთულდება, თუ გულშემატკივარი დიდი იმედით დაგვამძიმებს. უნდა ვაღიარო, რომ იღბალმა გაგვიღიმა კიდეც. ხომ შეიძლებოდა ინგლისი ან იტალია შეგვხვედროდა. თუმცა, ვიმეორებ, ვინც გვერგო, ძალიან ძლიერია“ — ამბობს ესპანელთა მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო.

ესპანელების სიძლიერეს არც ნორვეგიელთა თავკაცი ნილს იოჰან სემბი უარყოფს, თუმცა გულში დიდი მიზანი — ჩემპიონობა ამოუჭრია და დანიელთა ტრიუმფის გამეორებას ლამობს. „ფავორიტი ესპანეთია, დანარჩენებს შორის კი დიდი ბრძოლა გაიმართება“ — ამბობდა სემბი კენჭისყრის შემდეგ, ხოლო რას ფიქრობს დღეს, ჩვენს ჩანართში წაიკითხავთ.

პირველობაზე უარს არც იუგოსლავიელთა გამოცდილი მწვრთნელი ვუიადინ ბოშკოვი იტყვის. მით უმეტეს, თავადვე აღიარებს, ჩემთვისაც და ბევრი ფეხბურთელისთვისაც ევრო 2000 ბოლო სანაკრებო შეჯიბრი იქნება და ვინძლო რამეს მივაღწიოთო, თანაც არ ავიწყდება, რომ ესპანელებისა და სლოვენიელების მწვრთნელები კამაჩო და კატანეცი მისი ყოფილი ფეხბურთელები არიან. კამაჩო ბოშკოვის მადრიდის „რეალში“ თამაშობდა, კატანეცი — „სამპდორიაში“.

კატანეცს თითქოს ყველაზე იოლად აქვს საქმე, სლოვენიისთვის ფინალურ ეტაპზე გასვლაც დიდი მიღწევაა და ტურნირს მშვიდად ვითამაშებთო — ამბობს, მაგრამ...

## C ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 ივნისი | როტერდამი | ესპანეთი — ნორვეგია | 21.00 * |
| | შარლერუა | იუგოსლავია — სლოვენია | 23.45 |
| 18 ივნისი | ამსტერდამი | სლოვენია — ესპანეთი | 21.00 |
| | ლიეჟი | ნორვეგია — იუგოსლავია | 23.45 |
| 21 ივნისი | ბრიუგე | იუგოსლავია — ესპანეთი | 21.00 |
| | არნემი | სლოვენია — ნორვეგია | 21.00 |

* დრო თბილისისაა



ახლა იცინიან, მერე კი... თანაჯგუფელი მწვრთნელები: ესპანელი ხოსე ანტონიო კამაჩო, ნორვეგიელი ნილს იოჰან სემბი, სერბი ვუიადინ ბოშკოვი და სლოვენიელი სრეჩკო კატანეცი



### ესპანეთი

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1913 წელს
პრეზიდენტი: ანხელ მარია ვილარი
გენერალური მდივანი: ხერარდო გონსალეს ოტერო
თამაშებს ატარებს სევილიაში, „ოლიმპიურზე“ (ტევადობა 60 000), ვალენსიაში, „მესტალაზე“ (ტევადობა 55 000)
ეროვნული ნაკრების მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო
კაპიტანი: ფერნანდო იერო
ქვეყნის უძლიერესი კლუბები: რეალი (მადრიდი), ბარსელონა, ატლეტიკო (მადრიდი), ვალენსია, დეპორტივო (ლა კორუნია), ატლეტიკო (ბილბაო), სარაგოსა
მსოფლიოს ჩემპიონი: არ ყოფილა
საუკეთესო მიღწევა: 1950 წლის ბრაზილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე დაიკავა მეოთხე ადგილი
ევროპის ჩემპიონი (1): 1964
ფინალისტი (1): 1984



### ნორვეგია

ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1902 წელს
პრეზიდენტი: პერ რაგნ ომდალი
გენერალური მდივანი: კარენ ესპელუნდი
თამაშებს ატარებს ოსლოში, „ულევალზე“ (ტევადობა 27 000)
ეროვნული ნაკრების მწვრთნელი: ნილს იოჰან სემბი
კაპიტანი: ერიკ მიუკლანდი
ქვეყნის უძლიერესი კლუბები: როზენბორგი (ტრონჰეიმი), ბრანი (ბერგენი), ლილესტრიომი, ბოდიო გლიმტი, მოლდე, ვალერენგა
მსოფლიოს ჩემპიონი: არ ყოფილა
საუკეთესო მიღწევა: 1998 წლის საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალისტი
ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტი



### იუგოსლავია

იუგოსლავიის საფეხბურთო კავშირი დაარსდა 1919 წელს
პრეზიდენტი: მილიან მილიანიჩი
გენერალური მდივანი: ბრანკო ბულატოვიჩი
თამაშებს ატარებს ბელგრადში, „ცრვენა ზვეზდაზე“ (ტევადობა 95 000)
ეროვნული ნაკრების მწვრთნელი: ვუიადინ ბოშკოვი
კაპიტანი: დრაგან სტოიკოვიჩი
ქვეყნის უძლიერესი კლუბები: ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი), პარტიზანი (ბელგრადი), ობილიჩი (ბელგრადი), ვოივოდინა (ნოვი სადი), ოფკ (ბელგრადი), ბუდუჩნოსტი (პოდგორიცა)
მსოფლიოს ჩემპიონი: არ ყოფილა
საუკეთესო მიღწევა: 1930 წლის საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალისტი, 1962 წლის ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატზე დაიკავა მეოთხე ადგილი
ევროპის ჩემპიონი: არ ყოფილა
ფინალისტი (2): 1960, 1968



### სლოვენია

სლოვენიის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1920 წელს
პრეზიდენტი: რუდოლფ ზავრლი
გენერალური მდივანი: დანე იოსტი
თამაშებს ატარებს ლიუბლიანაში, „ბეზიგრადზე“ (ტევადობა 18 000)
ეროვნული ნაკრების მწვრთნელი: სრეჩკო კატანეცი
კაპიტანი: ჯონი ნოვაკი
ქვეყნის უძლიერესი კლუბები: ოლიმპია (ლიუბლიანა), ბრანიკი (მარიბორი), მურა (მურსკა სობოტა), რუდარი (ველენიე), კოროტანი (პრევალიე)
ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტი

ესპანეთი

# როცა ბურთი ძელს ხვდება




ვინ შეაჩერებს ხოსე ანტონიო კამაჩოს?

ესპანელები შორეულ 1964 წელს გახდნენ ევროპის ჩემპიონები. ისინი მაშინ ტურნირის მასპინძლები იყვნენ და თასს თუ ვერ აიღებდნენ, ცუდად წაუვიდოდათ საქმე — ფინალურ მატჩზე თვით გენერალისიმუსი ფრანსისკო ფრანკო მიბრძანებულიყო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა — ფრანკო გარდაიცვალა, ხოლო ესპანეთის ნაკრებს ანრი დელონეს თასის აღმართვა აღარ ღირსებია.

სადმე ესპანელ კაცს თუ გადააწყდებით და ევროპის ჩემპიონატზე ჩამოუგდებთ სიტყვას, აუცილებლად გეტყვით, ჩემპიონები უეჭველად ჩვენ გავხდებითო. მოსაუბრემ დაეჭვება თუ შეგნიშნათ, დაუმატებს, ვერ ხედავ, როგორი მწვრთნელი და ფეხბურთელები გვყავს და მეტოქეებსაც რა დღეში ვაგდებთო. მართლაც, შეხედავ მათი ნაკრების თამაშს და მოგეწონება. მერე ბოლოდროინდელ სტატისტიკურ მონაცემებსაც გადახედავ და მიხვდები, რომ ესპანელთა გაჩემპიონება უტოპია სულაც არ არის.

ამ ორიოდე წლის წინ სხვანაირად იყო. ესპანელებმა საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატი უსახელოდ დატოვეს. უფრო დიდი სირცხვილი კი თურმე წინ ელოდათ. კარგი, ნიგერიას და პარაგვაის ვერ გაუმკლავდნენ, მაგრამ კვიპროსი? 1998 წლის 5 სექტემბერს ლარნაკაში რაულმა და მორიენტესმა კუნძულელებს ორი გოლი გაუტანეს, თავად კი სამი გაუშვეს. მოკლედ, ესპანეთის ნაკრები ჩამოწერეს, ქვეჯგუფიდან ალბათ გავა, მაგრამ ბელგია-ჰოლანდიაში არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდესო. არადა, საოცარია, ესპანელებს ჩინებული ფეხბურთელები ჰყავდათ, მაგრამ ისინი მინდორზე უნიათოდ ირჯებოდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, ძველი მწვრთნელი ხავიერ კლემენტე გუნდიდან გაუშვეს და ხოსე ანტონიო კამაჩო მოიყვანეს.

რა არგუმენტები ჰქონდა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას, როცა ეს გადაწყვეტილება მიიღო? კამაჩო იქამდე ძირითადად დაბალდივიზიონელ გუნდებში იყო ნამუშევარი. საუკეთესო შედეგი „ესპანიოლში" მუშაობისას ჰქონდა — მეორე დივიზიონიდან აღზევებული კლუბი მეოთხე ადგილზე გაიყვანა. ის მადრიდის „რეალსაც" წვრთნიდა, თუმცა მხოლოდ 22 დღე. ერთი-ცაა, როცა ახალი მწვრთნელის დანიშვნის საკითხი წყდებოდა, კამაჩოს ფაქტობრივად კონკურენტი არ ჰყავდა. ფედერაციამ უცხოელის მიწვევა არ ისურვა, ჩვენს ფეხბურთს ესპანელზე უკეთ ვერავინ მიხედავსო. მაგრამ სადღა იყვნენ ესპანელები. საუკეთესო კლუბები კარგა ხანია, გადამთიელმა სპეციალისტებმა „დაიპყრეს". 1986 წლის მერე ესპანელ მწვრთნელს ქვეყნის ჩემპიონობა არ მოეპოვებინა! ბოლოს ეს „რეალში" მომუშავე ლუის მოლოვნიმ მოახერხა. ვინღა რჩებოდა? ლუის არაგონესმა კონტრაქტის პირობები დაიწუნა და ნაკრებში მუშაობა იუარა. ფედერაციამ ნაკრები ერთადერთ კანდიდატს — ხოსე ანტონიო კამაჩოს ჩააბარა. კამაჩომაც დაიწყო...

თორმეტმატჩიანი წაუგებელი სერია, 48 გატანილი გოლი და მხოლოდ 6 გაშვებული — მართლაც ბრწყინვალე შედეგია. მერე იყო ერთადერთი მარცხი არგენტინასთან და ისევ ჩინებული თამაში: 3:0 პოლონეთთან, 0:0 ხორვატიასთან და 2:0 იტალიელებთან.

მწვრთნელიც ეგა ყოფილაო, იტყვის კამაჩოზე კაცი. ესპანელები კი უმატებენ, მან ხავიერ კლემენტეს დროინდელი დამარცხებების სიმწარე დაგვავიწყაო. აქვე დავამატოთ, რომ კლემენტე და კამაჩო ერთმანეთის სრული ანტიპოდები არიან. ძველმა მწვრთნელმა პრესასთან და კლუბების პრეზიდენტებთან არცთუ მეგობრული დამოკიდებულებით გაითქვა სახელი, კამაჩო კი გულღია კაცია. ამასთანავე, კლემენტესეული დაცვაზე ორიენტირებული ფეხბურთი მან ღია, ლაღი, შემტევი სტილით შეცვალა. არადა, თითქოს საოცარია. რატომღაც დამკვიდრდა, რომ ყოფილი მცველები მწვრთნელობისას დაცვითი სტილის მიმდევრები ხდებიან, ყოფილი თავდამსხმელები — შემტევისა.

ხოსე ანტონიო კამაჩო მცველი იყო, ძალიან კარგი მცველი. მიღწევები? 15 სეზონი მადრიდის „რეალში", ცხრაჯერ ესპანეთის ჩემპიონის ტიტული, ხუთჯერ ქვეყნის თასი, ორჯერ კი უეფასი, 81 თამაში ნაკრებში, რაც ესპანეთში მეორე შედეგია. ამაზე მეტჯერ მხოლოდ ანდონი სუბისარეტას დაუცავს ქვეყნის ღირსება (101 მატჩი). მეტი რა უნდა ინატროს ადამიანმა? ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მოგება. მსოფლიომდე ჯერ შორია, აი, ევროპის პირველობა კი მოახლოვდა, დღეებიღა დარჩა...

ესპანეთის ნაკრებს თითქოს პრობლემები არა აქვს. ის ზედიზედ ამარცხებს მეტოქეებს. ბუქმეიკერები მათ შანსს ჩემპიონატის მოგებაზე მეტად სერიოზულად აფასებენ, ზემოთაც ვთქვით, მწვრთნელიც კარგი ჰყავთ და ფეხბურთელებიც, მაგრამ ესპანელებს მტერიც არ აკლიათ... ეიფორია, რომელსაც ისინი პატარ-პატარა გამარჯვებების მერე მიეცემიან ხოლმე.

— თუ დაკვირვებულხართ, მუდამ ასე ხდება — ამბობს კამაჩო — შესარჩევ ეტაპზე ჩინებულად ვთამაშობთ, ამხანაგურ მატჩებსაც ვიგებთ, მაგრამ რად გინდა, გადამწყვეტი შეხვედრებისას მეტოქის ძალას სათანადოდ ვერ ვაფასებთ, რაც ხშირად ცუდად მთავრდება. მადლობელი დაგრჩებით, თუ ყოველდღიურად შემახსენებთ, იუგოსლავია, ნორვეგია და სლოვენია ძალიან ძლიერი გუნდები არიანო.

არადა საოცარია, ის, რაზეც კამაჩო საუბრობს, უფრო გამოუცდელი ფეხბურთელების პრობლემაა, რომლებიც უმაღლეს დონეზე თამაშს დაჩვეულნი არ არიან. ესპანელებს კი ვინ ჰყავთ? ბარსელონელი, რეალელი, ვალენსიელი ფეხბურთელები. ისინი, ვისაც გამოუცდელობას ვერ დასწამებ.

რაც შეეხება შემადგენლობას. კამაჩომ უკვე დაასახელა იმ 12 მოთამაშის ვინაობა, ვინც ბელგია-ჰოლანდიაში წავლენ. ესენი არიან: აუგუსტინ არანსაბალი „სოსიედადიდან", სერხი, აბელარდო, გვარდიოლა „ბარსელონადან", პაკო ხემესი „სარაგოსადან", ხუან ველასკო „სელტადან", ვისენტე ენგონგა „მალიორკიდან", ფრანი „დეპორტივოდან", ხოსება ეჩებერია და ისმაილ ურსაისი „ბილბაოდან", პედრო მუნიტისი „რასინგიდან" და ალფონსო პერესი „ბეტისიდან".

შენიშნავდით, ჩამოთვლილთა შორის „რეალის" და „ვალენსიას" არც ერთი ფეხბურთელი არ არის. კამაჩოს განუცხადებია, ჩემპიონთა ლიგის ფინალს დაველოდებით და ამ გუნდებიდან მოთამაშეებს მერე დავიმატებო. მათგან კი უპირველესად რაული უნდა გამოვარჩიოთ.

ნაკრებში ბევრი კარგი მოთამაშეა, მაგრამ ესპანელებს განსაკუთრებით რაულის იმედი აქვთ. ისინი ამბობენ, ჩვენ უამრავი დიდი ფეხბურთელი გვყოლია, თუნდაც ალფრედო დი სტეფანო, ლადისლაო კუბალა და ფერენც პუშკაში, მაგრამ ისინი მოქალაქეობაშეცვლილი უცხოელები იყვნენ. ესპანელთაგან კი ყველაზე მაგარი ლუის სუარესი იყოო. სწორედ სუარესს ადარებენ რაულს.

გოლზე დაგეშილი ესპანელ ქალთა ოცნების მამაკაცი, რკინის ნერვებით — ასე ახასიათებენ 22 წლის რაულს, ვინც დაბადების 23-ე წელს ევროპის ჩემპიონატის დროს — 27 ივნისს იზეიმებს. მადრიდელი ნაკრების რიგებში პირველად 19 წლისა გამოჩნდა. ეს 1996 წელს იყო და ესპანეთი ჩეხეთს ხვდებოდა. მას მერე რაულმა კიდევ 28-ჯერ მოირგო ნაკრების მაისურა და ამ წლების მანძილზე ეროვნული გუნდის მხოლოდ სამი მატჩი გამოტოვა. რაულის გაბრწყინებას საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ელოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. ის საფრანგეთში დაღლილი ჩავიდა — მთელი ენერგია ჩემპიონთა ლიგას დაახარჯა.

ხშირად ამბობენ, ესა თუ ის ფეხბურთელი ამა და ამ მწვრთნელის აღმოჩენილიაო. 17 წლის ნიჭიერი ფეხბურთელის „ხალხში გამოყვანის" პატივი არგენტინელ მსოფლიოს ჩემპიონს და შემდგომში „რეალის" მწვრთნელ ხორხე ვალდანოს ერგო. მან რაული კლუბის მეორე თუ მესამე შემადგენლობაში შენიშნა და პრიმერა დივიზიონში თამაში დააწყებინა. წინა სეზონში რაულმა 23 გოლით ესპანეთის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულიც მოიპოვა.

და ისევ ნაკრების შანსებზე. ზემოთაც ვთქვით, რომ ხოსე ანტონიო კამაჩომ კარგად უწყის, რამ შეიძლება შეუშალოს ხელი ესპანელებს ევროპის ჩემპიონად გახდომაში. რაკი იცის, ნახევარი საქმეც გაკეთებულია. უამრავი ჯილდოების მომგები ფეხბურთელებისთვის თუ მწვრთნელის ბავშვური თვითდაჯერების და ეიფორიის დაძლევაც არ უნდა იყოს რთული. მაგრამ რა მოხდება, ესპანეთმა ჩემპიონობა თუ ვერ მოიპოვა? კამაჩოს ეს ვარიანტიც გათვლილი აქვს. ის აქედანვე შესაძლო უიღბლობაზე საუბრობს: „განა ჩვენ ვინმეზე სუსტები ვართ. უბრალოდ, იცით, რა ხდება? მაგალითად, როცა გერმანელები ძელს არტყამენ, ბურთი უეჭველად ბადეში აღმოჩნდება ხოლმე, ხოლო როცა ჩვენ ვაკეთებთ ამას, იგი რატომღაც კარის ხაზს მიღმა გადადის".

ხოსე ანტონიო კამაჩო ფეხბურთელობისას თბილისშიც არის ნამყოფი. 1981 წლის გაზაფხულზე მოსკოვის „სპარტაკმა" „რეალს" აქ უმასპინძლა.

გიორგი დარჯანია



ესპანელთა მთავარი იმედი რაულ გონსალეს ბლანკო



ბოლო დროს ესპანელებს ასეთი სიხარულის საბაბი ხშირად ჰქონდათ

## იუგოსლავია

# კაცი ვარ და ქუდი მხურავს
# წაუვათ, არ წაუვათ?

ვუიადინ ბოშკოვი, იუგოსლაველთა 69 წლის მწვრთნელი, ევრო 2000-ის ფინალისტთა დამრიგებლებს შორის ყველაზე მხცოვანია. თავის დროზე მას ქვეყნის ნაკრებში 58 მატჩი ჩაუტარებია და აგერ უკვე 37 წელიწადია, მწვრთნელობს. ტიტულებიც არ აკლია. მადრიდის „რეალი“ ესპანეთის, ხოლო „სამპდორია“ იტალიის ჩემპიონები გახადა. ორივე ამ გუნდთან ერთად ჩემპიონთა თასის ფინალშიც ითამაშა, ხოლო 1991-ში „სამპას“ თასთა თასი მოაგებინა. კიდევ ბევრი სახელიანი გუნდი გაუწვრთნია და 1971-73 წლებში იუგოსლავიის ეროვნულ გუნდსაც თავკაცობდა. შარშან თავისებური რეკორდიც დაამყარა, როცა 26-წლიანი შესვენების შემდეგ ნაკრები ისევ ჩაიბარა.

ბერი კაცია, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ბრძენი კონტინენტზე დღეს მომუშავე სპეციალისტთაგან. მისი აზრიც, ცხადია, განსაკუთრებულად ფასობს. აი, რას ფიქრობს ბოშკოვი თავისი გუნდის პერსპექტივაზე: „ჩვენ გამოცდილი და მაღალი კლასის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ნაკრები გვყავს. გამოცდილება კი, მოგეხსენებათ, ასეთ ტურნირებზე უმნიშვნელოვანესია. თუმცა, ამ ფეხბურთელებმა საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშეს და ვერაფერი მოიგეს, რაც, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური მოუმზადებლობის ბრალი იყო. თუ მოვახერხეთ და გადამღლელი სეზონის შემდეგ მოთამაშეები სასურველ ფორმაში ვამყოფეთ, მაშინ იუგოსლავია რაღაცას აუცილებლად მიაღწევს. ჯგუფიდან გავალთ და მერე ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჩემთვისაც და ნაკრების ბევრი მოთამაშისთვისაც, ევრო 2000 სანაკრებო დონეზე გამარჯვების ბოლო შანსია“.

საერთოდ, იუგოსლავიელები არასოდეს განიცდიან კვალიფიციური მწვრთნელების ნაკლებობას: ზლატკო ჩაიკოვსკი, ბრანკო ზებეცი, მილიან მილიანიჩი, ტომისლავ ივიჩი, ბორა მილუტინოვიჩი, მიროსლავ ბლაჟევიჩი... ეს მხოლოდ ძალიან ცნობილთა ნუსხაა, თორემ, ალბათ, მწვრთნელთა კადრების სიუხვით იუგოსლავიასა და ჰოლანდიას მსოფლიოში ბევრი ვერ შეედრება. თუმცა ბოშკოვს მიაჩნია, რომ ეს ყველაფერი იუგოსლავიის სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის დამსახურება იყო. უკვე ათი წელიწადია, ის დაიხურა და ადგილობრივი სამწვრთნელო სკოლის კრიზისიც მალე გამჟღავნდება.

ახლა ბოშკოვის ფილოსოფია არ გაინტერესებთ? „ღარიბი არ უნდა იყო. არასოდეს არავისი შემშურებია, რადგან ცხრამეტი წლიდან თვითონ ვირჩენდი თავს. ყოველთვის მქონდა ის, რაც მინდოდა. როცა შვეიცარიის 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მშობლიურ ნოვი სადში ახალი „ოპელ რეკორდით“ ჩავედი, ყველას ძალიან გაუკვირდა. ახლა ევროპაში ხუთი აგარაკი მაქვს. მიყვარს ფეხბურთი, გოლფი და ნადირობა. ავად თითქმის არასოდეს გავმხდარვარ. რეჟიმს ყოველთვის ვიცავდი. არც არასოდეს დავმთვრალვარ. კაცმა ყველაფერზე პასუხი თავად უნდა აგოს“. მოკლედ, ბოშკოვის ნაამბობი რომ გადმოვაქართულოთ, ალბათ, კაცი ვარ და ქუდი მხურავსო — გამოვა.

აი იუგოსლაველ ფეხბურთელთა დღევანდელ თაობას კი ერთობ მძიმე ბედი დაჰყვა. სამოქალაქო ომმა ქვეყანა დაშალა და ისინი, ვინც ადრე ერთად თამაშობდნენ, ლამის მტრებად აქცია. იუგოსლავია — ხორვატიის დაპირისპირება ევრო 2000-ის შესარჩევი ციკლის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა გახლდათ. არადა, ორივე ნაკრების შემადგენლობაში ბევრი იყო ისეთი ფეხბურთელი, რომლებმაც 1991 წელს ბელგრადული „ცრვენა ზვეზდას“ შემადგენლობაში ჩემპიონთა, იმავე წლის დეკემბერში კი საკონტინენტთაშორისო თასები მოიგეს. მერე, უკვე სანაკრებო დონეზე ევრო 92-ის ფინალური ეტაპის საგზურიც მოიპოვეს, მაგრამ... უკვე შვედეთში ჩასულები გაერომ შინისკენ გააბრუნა, ხოლო მათ მაგიერ დაშვებული დანია კონტინენტის ჩემპიონი გახდა... ამით დასრულდა იუგოსლავიის ნაკრების დიდი ისტორიის ერთი ეტაპი. მერე ყველაფერი თავიდან დაიწყო, ერთიან იუგოსლავიას გამოეყო ხორვატია, სლოვენია, მაკედონია, ბოსნია-ჰერცეგოვინა. ახლანდელ გუნდში მხოლოდ სერბები და ჩერნოგორიელები დარჩნენ და გუნდის პოტენციალიც რამდენადმე დაქვეითდა, მაგრამ შემადგენლობას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ იუგოსლავია დღესაც არავის ჩამოუვარდება.



იუგოსლავიელთა ლიდერები: პრედრაგ მიატოვიჩი (№8)...

ბოშკოვის გუნდის ლიდერებად იტალიური „ფიორენტინას“ შემტევს, 31 წლის პრედრაგ მიატოვიჩსა და ესპანური „სარაგოსას“ 26 წლის თავდამსხმელს, სავო მილოშევიჩს მიიჩნევენ. მიატოვიჩს 46 სანაკრებო მატჩში 22 ბურთი გაუტანია, თუმცა ბოლო დროს საუკეთესო ფორმისგან შორსაა, სეზონის დასაწყისში აქილევსის მყესი დაიზიანა და სამი თვე მინდორზე არ გამოჩენილა. მერე, სერია A-ში ეპიზოდურად ერთობ მაღალი ხარისხის ფეხბურთი აჩვენა, მაგრამ წლევანდელი წელიწადი მისი ნამდვილად არ იყო. მადრიდის „რეალმა“ მიატოვიჩი „ვალენსიასგან“ მას შემდეგ იყიდა, რაც ფეხბურთელმა სეზონში 28 გოლი შეაგდო და საუკეთესო უცხოელ ფეხბურთელადაც დაასახელეს. „რეალთან“ ერთად 1998 წელს მან ჩემპიონთა თასი მოიგო, თანაც ფინალში „იუვენტუსს“ ერთადერთი გოლი გაუტანა: „რეალში“ გატარებული პერიოდი ჩემს კარიერაში საუკეთესო იყო. ახლაც სიამოვნებით ვიხსენებ იმ დროს. „რეალი“ მართლაც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კლუბია“ — ამბობს მიატოვიჩი, რომელიც ესპანეთიდან იტალიაში შარშან ზაფხულში გადაბარგდა.

იუგოსლავიელთა ცოცხალი ლეგენდის, 35 წლის დრაგან სტოიკოვიჩის არყოფნის დროს ნაკრების კაპიტნის სამკლაურს მიატოვიჩი იკეთებს ხოლმე. ჩვენი იუგოსლავიელი კოლეგების ინფორმაციით, ერთადერთილა დარჩა ნაკრებში იმ ფანტასტიკური ჭაბუკთა ნაკრებიდან, რომელმაც 1987 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა მოიგო.

სავო მილოშევიჩს 43 სანაკრებო მატჩში 20 გოლი გაუტანია და დღეს იუგოსლავიაში ყველაზე პერსპექტიულ თავდამსხმელად მიიჩნევენ. მაგრამ მის გარდა ბოშკოვს ჰყავს იუვენტუსელი დარკო კოვაჩევიჩიც, რომელიც ფიზიკური მონაცემების წყალობით საჰაერო ბრძოლებისას განსაკუთრებით ძლიერია.

„დარწმუნებული ვარ, ჯგუფიდან გავალთ, პლეი ოფშიც ვეცდებით, თავი არ შევირცხვინოთ. მე კი ძალიან მინდა, ევრო 2000-ზეც ისევე გავიტანო ხოლმე, როგორც ამას „იუვენტუსთან“ ერთად უეფას თასზე ვაკეთებდი“ — ამბობს კოვაჩევიჩი.

ბოშკოვს დაცვის ხაზშიც გამოცდილი მებრძოლები ჰყავს. მათგან გამორჩეული „ლაციოს“ 31 წლის მოთამაშე სინიშა მიხაილოვიჩია. „ჯარიმების ჯადოქარი“ — როგორც მას იტალიაში ეძახიან. ის ერთ-ერთი მათგანია, ვინც ომის შემდეგ ევროპაში გადაიხვეწა და დიდი სახელი მოიხვეჭა. ჯერ კიდევ ცხრა წლის წინ მას „ცრვენა ზვეზდას“ თეთრ-წითელი მაისურა ეცვა და ხელში ჩემპიონთა თასი ეჭირა. მერე იყო საკონტინენთაშორისო თასი, შარშან „ლაციოსთან“ ერთად თასების თასიც მოიგო. წლეულს კიდევ ერთი პრესტიჟული ტიტული — იტალიის ჩემპიონობა.

მიხაილოვიჩი ამბობს, რომ ჯარიმების დარტყმაზე საგანგებოდ არასოდეს უვარჯიშია. ეს, ალბათ, ღმერთისგან მომადლებული ნიჭი უფროა. ბავშვობაშიც ხშირად მხოლოდ იმიტომ ათამაშებდნენ, რომ იცოდნენ, ჯარიმას აუცილებლად გაიტანდა. ამას წინათ, „ლაციოს“ მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა იხუმრა კიდეც, სულაც არაა სავალდებულო, მიხაილოვიჩმა [illegible]ნოს, მთავარია, ჯარიმა დაარტყას და დანარჩენს სხვები გააკეთებენო. საინტერესოა, რომ მიხაილოვიჩი ვუკოვარში დაიბადა, შემდეგ მისი ოჯახი საცხოვრებლად ბოროვოში გადავიდა. ორივე ეს ქალაქი დღეს ხორვატიის ტერიტორიაზეა. სინიშას ამ საკითხზე ასეთი აზრი აქვს: „ეს ახლა ლაპარაკობენ სერბებზე, ხორვატებზე, მაკედონიელებზე. ადრე ყველა იუგოსლავიელები ვიყავით და ფეხბურთი ჩვენი საყვარელი თამაში იყო. ეროვნებაზე არასდროს არავინ დავობდა“.



... და სავო მილოშევიჩი

სინიშას ისე მოეწონა იტალიაში, რომ იქაური ცოლი მოიყვანა და ორმაგი მოქალაქეობაც გაიფორმა, თუმცა საფეხბურთო ასპექტში მას მხოლოდ ერთი ნაკრები — იუგოსლავიისა აინტერესებს.

ჩანს, ვუიადინ ბოშკოვს ყველაზე დიდი პრობლემები ნახევარდაცვის დაკომპლექტებისას შეექმნება. საქმე ისაა, რომ მწვრთნელს მაინცდამაინც არ უნდა ორი ვეტერანის — დრაგან სტოიკოვიჩისა და დეიან სავიჩევიჩის ბელგია — ჰოლანდიაში წაყვანა. დროა, გზა ნიჭიერ ახალგაზრდებს დავუთმოთო — ამტკიცებს ბოშკოვი, მაგრამ იუგოსლავიის საფეხბურთო საზოგადოება საპირისპირო აზრისაა. მათ მიაჩნიათ, რომ ეს ორი ფეხბურთელი დღევანდელი ნაკრებისთვის შეუცვლელია და მათი მინდორზე ყოფნა თუნდაც ფსიქოლოგიური ფაქტორითაა გამართლებული.

ნახევარდაცვაში იუგოსლავიელებს სხვა ცნობილი გვარებიც ჰყავთ: „ლაციოს“ დეიან სტანკოვიჩი, „პორტუს“ ლებინკო დრულოვიჩი და „დეპორტივოს“ სლავიშა იოკანოვიჩი. „ვანწყობა საბრძოლოა, თუ ევრო 2000-ზე თამაშის საშუალებას მომცემენ, დავამტკიცებ, რომ რაღაც მეც შემიძლია“ — ამბობს დეიან სტანკოვიჩი.

ახლა კი ცოტა ძველ ამბებზეც. იუგოსლავიის ნაკრებს სერიოზული ტურნირი არასოდეს მოუგია, თუ არ ჩავთვლით 1960 წლის ოლიმპიურ ოქროს. მსოფლიოს ჩემპიონატზე ორჯერ, 1930 და 62 წლებში, ნახევარფინალში გავიდნენ. აი, 1960 და 68 წლებში კი ევროპის ჩემპიონობაც (მაშინ ტურნირს ევროპის თასის გათამაშება ერქვა) შეეძლოთ. მაგრამ ჯერ საბჭოთა კავშირის ნაკრებთან დამარცხდნენ ფინალში (1:2, ერთი ბურთი სლავა მეტრეველმა გაიტანა, მეორე მიხეილ მესხის გარღვევას და ზუსტ პასს მოჰყვა), მერე მასპინძელ იტალიასთან, არადა, დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე იუგოსლავიელები იგებდნენ. ის თამაში ფრედ დამთავრდა და გადათამაშებაში „სკუადრა აძურამ“ 2:0 იმარჯვა. 1976 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს იუგოსლავიამ უმასპინძლა. ნახევარფინალში, დასავლეთ გერმანიასთან პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლები 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ უპირატესობა ისევ ვერ შეინარჩუნეს. საქმე დამატებით დრომდე მიიყვანეს და ფინალისკენ გზა გფრ-ს დაუთმეს. ამიტომაცაა, რომ იუგოსლავიაში ამბობენ, ჩვენ ძლიერი ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ მათ ერთი ნაკლი აქვთ, თამაში უნდა წაუვიდეთ, თუ ასე მოხდა, ჩვენი მომგები მსოფლიოში არავინაა, თუ არა და...

ზემოთ ვთქვით, რომ გაერთიანებული იუგოსლავიის გუნდმა ბოლოს 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში ითამაშა. მერე ისინი პოლიტიკური არასტაბილურობის გამო ოთხი წლით მოკვეთეს საერთაშორისო ფეხბურთიდან. დაქუცმაცებული გუნდის დაბრუნება მაინც ხმაურიანი გამოდგა. მათ საფრანგეთის ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვეს, თანაც შესარჩევ პლეი ოფში უნგრელებს ჯამში 12 გოლი გაუტანეს. საფრანგეთში იუგოსლავიამ მერვედფინალში გააღწია და იქ ჰოლანდიასთან დამარცხდა. ბოლო შესარჩევ ციკლში კი მთელი ევროპა დიდი ბალკანური დერბის მოწმე გახდა. იუგოსლავია და ხორვატია ერთ ჯგუფში მოხვდნენ. ორივე მატჩი ფრედ დამთავრდა — 0:0 ბელგრადში, 2:2 ზაგრებში. შედეგად, იუგოსლავიამ პირველი ადგილი დაიკავა, მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის ტრიუმფატორი ხორვატია კი ევრო 2000-ს მიღმა დარჩა.

ბოშკოვს სჯერა, რომ მის გუნდს ბელგია — ჰოლანდიაში ჩემპიონობაც კი შეუძლია. ვითომ წაუვათ თამაში?

**სოლომონ გულისაშვილი**

## ნორვეგია

# სემბი დანიელთა კვალზე

რაღა დარჩა ევროპის ჩემპიონატამდე, თითქმის არაფერი. ცოტაც და ბელგია-ჰოლანდიის მინდვრებზე 16 ქვეყნის ნაღები ფეხბურთელები ევროპის უძლიერესის ტიტულისთვის ბრძოლაში ჩაერთვებიან.

ევრო 2000 ერთი რამითაც გამოირჩევა. ზაფხულში ორი ქვეყანა — ნორვეგია და სლოვენია თავის ისტორიაში პირველად ჩაებმება ევროპულ საფეხბურთო ფერხულში. და რაოდენ სიმბოლურია, უეფას ერთ-ერთი მოხელის ხელით ისინი ერთ ჯგუფში რომ განამწესა განგებამ.

გეხსომებათ, ეს ორი ნაკრები ევრო 2000-ის შესარჩევშიც ერთად მოხვდა, მეორე ქვეჯგუფში მათთან ერთად საქართველოს ეროვნული გუნდიც იბრძოდა, მაგრამ...

ჩამოვიდა ნორვეგია თავისი ვარსკვლავებით თბილისში, სრულიად საფეხბურთო საქართველოს პოლარული ღამე მოუწყო და 4:1-ით ხელდამშვენებული გაფრინდა სამშობლოში. ამას რაც მოჰყვა, ყველას კარგად მოეხსენება. ნაკრები ვლადიმერ გუცაევმა დატოვა, მის ადგილზე კი „მყვირალა" იოჰან ბოსკამპი მოვიდა და ნაკრებმაც ოსლოში თავი არ შეირცხვინა, ყოჩაღად წააგო — 0:1. მანამდე კი იყო პირველი მარცხი.

რა პირველიო, იკითხავს მავანი. საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნორვეგიის ნაკრების მწვრთნელობიდან ეგილ „დრილუ" ოლსენი გადადგა, პოსტი კი თანაშემწე ნილს იოჰან სემბმა ჩაიბარა. ვიკინგთა ქვეყანაში მას ალმაცერად შეჰყურებდნენ, ოსლოში ლატვიასთან 1:3 წაგების შემდეგ კი სულ აითვალწუნეს. ნორვეგიამ შვიდი წლის მერე პირველი საშინაო მარცხი განიცადა. „დრილუ, დრილუ, დაგვიბრუნდი" — ღრიალებდნენ გაშმაგებული ფანები, მაგრამ სემბი კრიტიკას არ დაუფრთხია, მან ოლსენისგან მიღებული გამოცდილება გეგმაზომიერად და მეთოდურად მოახმარა საქმეს. შედეგი — ნორვეგიამ ევრო 2000-ის შესარჩევის მეორე ჯგუფში 21 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და მთელი 9 ქულით ჩამოიტოვა მეორეადგილოსანი სლოვენია, რომელსაც ორივე მატჩი მოუგო. ლიუბლიანაში, მართალია, ვიკინგებმა ბოლო წუთზე გამოსტაცეს გამარჯვება (2:1) ექსიუგოსლავიელებს, მაგრამ შინ ყველაფერი ლოგიკურად დაასრულეს — 4:0.



1999 წლის 30 მაისი. ნორვეგია — საქართველო 1:0.
მასპინძელი პიტერ რუდი (№16) და სტუმარი ზურაბ ფოფხაძე

ნორვეგიელები დებიუტანტები კი არიან, მაგრამ არ იკითხავთ, რაზე ოცნებობენ? „1992 წელს დანიამ ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. ვფიქრობ, შეგვწევს იმის ძალა, რომ ასეთივე შედეგი რომ გავიმეოროთ" — ნილს იოჰან სემბი, ნორვეგიის ნაკრების მწვრთნელი.

რას ეფუძნება მწვრთნელის სიტყვები? რატომაც არა, შეუძლებელი არაფერია. ნაკრების ყველა რგოლი ძლიერი და თანაბარი ძალის ფეხბურთელებითაა დაბალანსებული, გამორჩეულად კი დაცვის ხაზს გამოყოფენ: ვეგარდ ჰეგემი, ერიკ ჰოფტუნი, ანდრე ბერგდოლმო და ბიორნ ოტო ბრაგსტადი. „რუსენბორგის" ოთხეული ჩინებულადაა შეთამაშებული. არც გამოცდილება აკლიათ, ჩემპიონთა ლიგაში „რუსენბორგი" უკვე რა ხანია, წარმატებით ასპარეზობს და ამ ოთხსაც ზურგს უზარმაზარი გამოცდილება უმაგრებს.

„მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი ჰენინგ ბერგი ბოლო დროს არასაიმედოდ თამაშობს. გამოჩნდება თუ არა ძირითადში, ამას თავად 41 წლის სემბი გადაწყვეტს. სამაგიეროდ, ვიკინგთათვის რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ბელგია-ჰოლანდიაში მანჩესტერელ რონი იონსენს და ტოტენჰემელ ოივინდ ლეონარდსენს ვერ იახლებენ, ორივე ტრავმირებულია.

ვინ იქნება ნორვეგიის ნაკრების ლიდერი? ალბათ, ორი აზრი არ არსებობს — ლონდონის „ჩელსის" 193-სანტიმეტრიანი ტორე ანდრე ფლო.

„მას შეუძლია, ლიდერობა იტვირთოს. თავით ჩინებულად თამაშობს, ნებისმიერი სიტუაციიდან ეხერხება კარში შედეგიანი დარტყმა, ძლიერია ორთაბრძოლებში" — ასე ახასიათებს მას სემბი.

ფლოს მეწყვილედ შეტევაში კიდევ ერთი მანჩესტერელი, ოლე გუნარ სოლსკიაერი ეგულებათ. თუმცა აქვე არიან „ტოტენჰემის" სტეფან ივერსენი და ნორვეგიის რეკორდსმენი იონ კარეუ, რომელიც ესპანურ „ვალენსიაში" „რუსენბორგიდან" ნორვეგიული ფეხბურთისთვის სარეკორდო თანხად — 8,5 მილიონ დოლარად გადავიდა.

მობილურია ნახევარდაცვაც. ერიკ მიუკლანდმა, ნაკრების კაპიტანმა, თავისი რესურსები ბერძნულ „პანათინაიკოსში" ამოწურულად მიიჩნია და სულ ახლახან გერმანულ „მიუნხენ 1860"-ში გადაბარგდა. ეს გუნდი ახალი სეზონიდან ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, თანაც, რა ძნელი მისახვედრია, ბუნდესლიგა საბერძნეთის ჩემპიონატს რომ სჯობს.

ნორვეგიელებს, შესარჩევი მატჩების გამოკლებით, ამხანაგური შეხვედრები სტუმრად 1998 წლის ზაფხულის მერე არ ჩაუტარებიათ, ძირითადად მშობლიურ „ულევალზე" თამაშობდნენ და წაგებებსაც მოუხშირეს: შარშან დეკემბერში გერმანიასთან 0:1 დამარცხდნენ, სულ ახლახან, 26 აპრილს კი ბელგიელებთან მოიხარეს ქედი — 0:2. რას ნიშნავს ეს? ბევრს არაფერს, გუნდი ემზადება, ბუნებრივიცაა, ხან წააგებ, ხანაც მოიგებ.

სემბი თავისი წინამორბედის, ეგილ ოლსენის პრინციპებს არ ღალატობს და გუნდის კოზირად კონტრშეტევებზე თამაშს მიიჩნევს. მისი თვალთახედვის არეალში უფრო ტექნიკური სტილის ფეხბურთელები ხვდებიან. ერთ-ერთ ასეთად კი ბელგიურ „გენკში" მოთამაშე ოლე მარტინ აარსტი ითვლება. არაა გამორიცხული, ბელგიის ახალდამთავრებული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ნაკრების მაისურაც მოირგოს.

თუ ასე მოხდა, აარსტი ბელგია-ჰოლანდიაში თავს ისე იგრძნობს, როგორც თევზი წყალში.

სემბს მესამეჯგუფელებზეც ჰკითხეს აზრი: „ესპანეთი უდავო ფავორიტია, სლოვენია... ვერ ვიტყვი, რომ უიმედო აუტსაიდერია, თუმცა ბალკანელთათვის ევროპის პირველობაზე მონაწილეობაც კი უდიდესი მიღწევაა. რაც შეეხება იუგოსლავიელებს, ძირითადი ბრძოლა, ალბათ, მათთან გველის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ესპანელებს და სლოვენიელებს რაიმეს დავუთმობთ".

ერთი სიტყვით, ნორვეგია თავისი ოცნების ასასრულებლად ემზადება და უძლიერესი შემადგენლობით გაუყვება გზას ბელგია-ჰოლანდიისკენ, იონსენ-ლეონარდსენს თუ არ ჩავთვლით. დანარჩენს კი თავად ჩემპიონატი დაგვანახებს.

**გიორგი ვაშაძიძე**

# თხილამურობიდან ევროპულ ელიტაში

## სლოვენია

სლოვენიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტია. უპირველეს ევროპულ ტურნირში მონაწილეობის პატივი მათ აქამდე არასდროს ღირსებიათ, ამიტომ ახლა, უეჭველია, თავის ღირსეულად წარმოჩენას შეეცდებიან. მთავარი მწვრთნელის სრეჩკო კატანეცის განცხადებით, მისი შეგირდები გამოცდილ მეტოქეებს არაფერს დაუთმობენ. „ფარ-ხმლის დაყრას არ ვაპირებთ — ამბობს კატანეცი — შეძლებისდაგვარად აგრესიულად ვითამაშებთ. უნდა მოვინდომოთ. ჩვენგან ბევრს არაფერს ელიან, ეს კი მშვიდად თამაშის საშუალებას იძლევა".

სლოვენიაში ფეხბურთი განსაკუთრებით პოპულარული არასდროს ყოფილა. მეტი ყურადღება ყოველთვის თხილამურობას და კალათბურთს ეთმობოდა. მაგრამ ევრო 2000-ის შესარჩევ ჯგუფში ნაკრების წარმატებამ, ხოლო პლეი ოფში უკრაინის ნაკრების დამარცხებამ ყველაფერი შეცვალა. დღეს სლოვენიაში ფეხბურთით მეტი და მეტი ხალხი ინტერესდება.

სლოვენია, რომელიც 1991 წელს იუგოსლავიას გამოეყო და დამოუკიდებელ ქვეყნად ჩამოყალიბდა, ყველაზე პატარა და ყველაზე ახალგაზრდა ერია, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს. ისიც სიმბოლურია, რომ კატანეცი სხვა 15 ნაკრების მწვრთნელებზე ახალგაზრდაა, იგი 37 წლისაა.

„ყველაფერს რეალურად შევხედოთ — ამბობს იგი — ჩვენ, სლოვენიელებს, 20 მაღალი დონის ფეხბურთელი არ გვყავს, სხვა ნაკრებებს, მაგალითად, ესპანეთს ვერ შევედრებით. მათი სარეზერვო ფეხბურთელები გაცილებით გამოცდილნი არიან, ვიდრე ჩვენი ძირითადი მოთამაშეები".

სლოვენიის ნაკრების მთავარი იმედი ზლატკო ზაჰოვიჩია, რომელიც ამჟამად ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" თამაშობს, თუმც მთავარ მწვრთნელ ალბერტო ბიგონთან უთანხმოების გამო კარგა ხნის დისკვალიფიცირებულია. ფეხბურთელმა გულშემატკივრებს განუცხადა, თამაში ჯერ არ დამვიწყებია და ევროპის ჩემპიონატზე ჩემს სიძლიერეს დავამტკიცებო.

— ზოგჯერ ემოციებს ვერ ვიკავებ — ამბობს ზაჰოვიჩი — მწყინს, რაც მოხდა, მაგრამ არა უშავს. კარგა ხანია, არ მითამაშია, თუმცა ეს არაფერს ნიშნავს.

ზაჰოვიჩმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე 9 გოლი გაიტანა (გახსოვთ, ალბათ, სლოვენია ჯგუფში საქართველოს მეტოქე იყო). იგი სლოვენიური ფეხბურთის საუკეთესო ბომბარდირია.

— ევრო 2000-ზე ისე მოვინდომებ, როგორც არასდროს — განაცხადა ზაჰოვიჩმა — ეს ჩემი კარიერის გამორჩეული მოვლენაა. ნებისმიერ მეტოქეს შევებრძოლებით. ჩვენთან ადვილ გასეირნებას ნურავინ მოელის.

სლოვენია ძლიერი ფეხბურთელებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. გუნდის მოთამაშეები არცთუ სახელიან კლუბებში ირიცხებიან და ხანდახან ძირითად შემადგენლობაშიც ვერ ხვდებიან.

— „ცრვენა ზვეზდას" ლეგიონერმა მილენკო აჩიმოვიჩმა, კიოლნელმა სპასოიე ბულაიჩმა და ფრაიბურგელმა მირან პავლინმა თითქმის მთელი სეზონი სათადარიგოთა სკამზე გაატარეს და უთამაშებლობა ეტყობათ.

— უკლებლივ ყველა ფეხბურთელს, რომელმაც შესარჩევ ციკლში იასპარეზა და გუნდის წარმატებაში წვლილი დაიდო, ევრო 2000-ზე წავიყვან. თუ რომელიმე მათგანი თავის კლუბს ვერ მოერგო, ეს მე არ მაინტერესებს — ამბობს კატანეცი. მწვრთნელმა ნაკრებში ორი ახალბედაც მიიწვია, „ნოვა გორიცას" ნახევარმცველი ანტონ ზლოგარი და „სერვეტის" თავდამსხმელი ერმინ სილიაკი.

სლოვენიელები ჯგუფში ესპანეთს, იუგოსლავიასა და ნორვეგიას მეტოქეობენ. იქაური ჟურნალისტები იმედოვნებენ, რომ მათი გუნდისთვის ყველაზე იოლი მეტოქე იუგოსლავია იქნება, რადგან კატანეცი ადრე სწორედ ერთიანი იუგოსლავიის ნაკრებში მცველად თამაშობდა, მათ მწვრთნელ ვუიადინ ბოშკოვსა და მის ტაქტიკას ერთობ კარგად იცნობს.

კატანეცი მეტ მნიშვნელობას ნორვეგიელებთან შეხვედრას ანიჭებს, იგი ამბობს: „უდიდესი როლი დაეკისრებათ მსაჯებს, თუ ისინი ტორე ანდრე ფლოსთან ყოველი შეხებისას ჩვენს მცველებს დააჯარიმებენ, მაშინ არაფერი გამოვა, წარმატებაზე ვერც ვიფიქრებთ".

სლოვენიური ფეხბურთის მაღალჩინოსნები ადრე გამუდმებით უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. მათი აზრით, ძლიერ მეტოქეებთან ორთაბრძოლაში სლოვენიის ნაკრებს თითქმის ყოველთვის ჩაგრავენ. კატანეცი იმედოვნებს, რომ ევროპის ჩემპიონატზე მსგავსი მიკერძოება არ განმეორდება.

ერთგული ქომაგები საყვარელი გუნდისგან წარმატებას ითხოვენ, კატანეცი კი ყველაფერს რეალურად აფასებს: „ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრით უდიდეს წარმატებას მივაღწიეთ. ეს ყველა ჩვენგანს ესმის. ახლა მშვიდად ვართ — ჩვენ ხომ ევროპული ფეხბურთის ელიტარულ გუნდებთან უნდა ვითამაშოთ, რომელთა ყურება ადრე მხოლოდ ტელევიზორით შეგვეძლო, მათგან განსხვავებით, დასაკარგი არაფერი გვაქვს".



საუკეთესო სლოვენიელი ზლატკო ზაჰოვიჩი (№10)

**ნიკა შუღლაძე**

## ფეხბურთის რუკასთან



თურქი ნახევარმცველი ტაიფუნ კორკუტი „ფენერბაჰჩედან“ „რეალ სოსიედადში“ გადავიდა. ფეხბურთელმა ესპანურ კლუბთან სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ტაიფუნმა თურქეთის ეროვნულ ნაკრებში 23 შეხვედრა ჩაატარა, თუმცა ორმაგი მოქალაქეობა აქვს, ამიტომ ევროკავშირული ლიმიტი მასზე არ ვრცელდება. ადრე ტაიფუნი გერმანიაში ასპარეზობდა და იქაურ პასპორტსაც ფლობს. სანსებასტიანურ კლუბს, ალბათ, ნიგერიელი ნახევარმცველი მუტიუ ადეპოჟუ დატოვებს. „ფეხბურთელის შეძენა რამდენიმე ინგლისურმა კლუბმა ისურვა“ — იუწყება „რეალ სოსიედადის“ პრეზიდენტი ლუის უგანდა. არ არის გამორიცხული, ადეპოჟუს კვალს პორტუგალიელი რიკარდუ სა პინტუც მიჰყვეს, მას კონტრაქტით ერთი წელი კიდევ დარჩა, მაგრამ კლუბის გამოცვლას აპირებს. სა პინტუს თავის ძველ კლუბ „სპორტინგში“ იწვევენ, სადაც იგი 1994-დან 1997 წლამდე თამაშობდა.

**შვედი ფორვარდი ჰენრიკ ლარსონი სამშობლოში დაბრუნდა, რათა დაამტკიცოს, რომ მძიმე ტრავმა მოიშუშა. მას ევრო 2000-ზე თამაში სურს. „მოტეხილი ძვალი დიდი ხნის წინ შემიხორცდა, სირბილი და ფიზიკური დატვირთვა შემიძლია. ჯერჯერობით არ ვიცი, მიმიწვევენ თუ არა ეროვნულ ნაკრებში. გუნდის ძირითადი ბირთვი თითქმის შეარჩიეს, ორ კანდიდატსაც დაასახელებენ და ვიმედოვნებ, მათ შორის მეც ვიქნები“ — განაცხადა ლარსონმა, რომელმაც შარშან ოქტომბერში, „ლიონთან“ უეფას თასის მატჩში ფეხი ორგან მოიტეხა და კარგა ხნით გამოაკლდა დიდ ფეხბურთს.**

პორტუგალიელ ნახევარმცველ ლუიშ ფიგუს „მილანი“ იწვევს. „ბარსელონადან“ პრეზიდენტის, ხოსეპ ლუის ნუნიესისა და მწვრთნელის, ლუის ვან გაალის წასვლის შემდეგ არ არის გამორიცხული, გუნდი რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვოს. „შემოთავაზებები მართლაც მივიღე, მიჭირს რაიმეს გადაწყვეტა“ — განაცხადა ფიგუმ. სხვადასხვა სააგენტოების ცნობით, პორტუგალიელს „ლაციო“ და „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ეპატიჟებიან. „ბარსელონას“ აწ უკვე ყოფილ ჰოლანდიელ მცველ უინსტონ ბოგარდს კი „ჩელსი“ აკვირდება. 29 წლის ფეხბურთელი ლონდონურ კლუბთან მოლაპარაკებებს აწარმოებს და შესაძლოა „სტემფორდ ბრიჯზეც“ აღმოჩნდეს.

**ფრანგმა მცველმა ლორან ბლანმა „ინტერთან“ კონტრაქტი 2002 წლამდე გააგრძელა. ამით მან საბოლოოდ უარყო მოსაზრება, თითქოს სამშობლოში დაბრუნებას და „ბორდოში“ თამაშს აპირებს. 34 წლის გამოცდილი ფეხბურთელი „ინტერში“ შარშან მარსელის „ოლიმპიკიდან“ გადავიდა და ახლა მილანური გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. გავრცელდა ხმები, თითქოს 2002 წლის შემდეგ ბლანი კარიერას დაასრულებს.**

საფრანგეთის ჩემპიონ „მონაკოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელი ვილი სანიოლი მალე, ალბათ, მიუნხენის „ბაიერნში“ ჩაირიცხება. ბუნდესჩემპიონები 22 წლის მცველის სანაცვლოდ 4,5 მილიონ გირვანქას იხდიან. „მონაკოს“ ხელმძღვანელობას შევუთანხმდით და მალე კონტრაქტს გავაფორმებთ“ — განაცხადა „ბაიერნის“ ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა. „გუნდის ხელმძღვანელობამ „ბაიერნში“ გადასვლის ნება დამრთო და უახლოეს ხანში ხელშეკრულების დეტალებსაც დავაზუსტებ“ — თქვა თავად სანიოლიმ.

**ინგლისურ „ლიდს იუნაიტედს“ 8 მილიონ გირვანქად „ვესტ ჰემის“ ნახევარმცველის, ფრენკ ლამპარდის შეძენა სურს. ეს ინფორმაცია თავად „ლიდსის“ მწვრთნელმა დევიდ ოლირიმ დაადასტურა. სპეციალისტი ახალი სეზონისთვის გუნდის გაძლიერებას აპირებს და ალბათ, რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელს შეიძენს. ლამპარდი 21 წლისაა და უკვე მრავალი ბობოლა კლუბიც დააინტერესა. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში იგი ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრებს კაპიტნობდა.**

ფრანგული „ლანსის“ მწვრთნელი ფრანსუა ბრისონი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამიერიდან იგი კლუბში ერთ-ერთ ხელმძღვანელად იმუშავებს. გუნდის პრეზიდენტმა მარკე მარტელმა „მეცის“ თავკაც ჟოელ მიულერს შესთავაზა ეს პოსტი, მაგრამ სპეციალისტმა უარი განაცხადა. პრეზიდენტს სხვა კანდიდატი ჯერჯერობით არ დაუსახელებია. ფრანგული პრესის ცნობით, „ლანსში“ შესაძლოა ბილბაოს „ატლეტიკის“ მწვრთნელი ლუის ფერნანდესი, ან „მარსელის“ ყოფილი თავკაცი როლან კურბისი დაინიშნოს, თუმცა თავად ამას უარყოფენ. ფერნანდესმა განაცხადა, რომ მას ფრანგული გუნდის ხელმძღვანელობა არ სურს. „ლანსი“ ჯერჯერობით ვერც კურბისს მოურიგდა.

**ინგლისის პირველ დივიზიონში დაქვეითებული „შეფილდ უენსდის“ ალბათ ჯო კინერი უხელმძღვანელებს. „უიმბლდონის“ ყოფილმა თავკაცმა დაადასტურა, რომ „შეფილდიდან“ მას უკვე შეეხმიანენ. ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა დენი უილსონმა კლუბი მარტში დატოვა. მის ნაცვლად დროებით პიტერ შრივსი დაინიშნა, რომელმაც გუნდი პრემიერლიგიდან გავარდნას ვერ გადაარჩინა. პირველ დივიზიონში დაქვეითების შემდეგ „შეფილდს“ ალბათ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დატოვებს.**

რუსულმა „ურალანმა“ ბოლო ერთი თვის მანძილზე მესამე მწვრთნელი გამოიცვალა. თანამდებობაზე ამჟამად 46 წლის ალექსანდრ ირხინი დაინიშნა. თავიდან გუნდს ალექსანდრ ავერიანოვი ხელმძღვანელობდა. იგი დაახლოებით ერთი თვის წინ გაათავისუფლეს. მის ნაცვლად დანიშნულ ვლადიმირ დერგაჩს ორი კვირის შემდეგ იგივე ბედი ეწია. ახლა კი „ურალანში“ ირხინი მივიდა. გუნდი ამჟამად კრიზისშია და რუსეთის ჩემპიონატის გათამაშების ცხრილის ბოლოსკენ იმყოფება.

**გერმანული „ბორუსიას“ მთავარი მწვრთნელი უდო ლატეკი ხუთკვირიანი მოღვაწეობის შემდეგ წინა შაბათს თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მის ნაცვლად დორტმუნდულ კლუბში შესაძლოა მატიას ზამერი დანიშნონ. რამდენიმე წლის წინ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული ზამერი ლატეკის თანაშემწედ მუშაობდა. „ბორუსიას“ და გერმანიის ნაკრების ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო და კარიერა ნაადრევად დაასრულა. კლუბმა აშკარად წარუმატებელი სეზონი ჩაატარა და ჩემპიონატში მე-11 ადგილს დასჯერდა. 65 წლის ლატეკი წლეულს „ბორუსიას“ მესამე მწვრთნელი გახლდათ მიხაელ სკიბეს და ბერნდ კრაუსის შემდეგ.**

გერმანელი ფორვარდი ულფ კირსტენი ბუნდესლიგის ყველაზე ეფექტურ ფეხბურთელად დაასახელეს. ეს პრიზი პირველად გათამაშდა და მას ცნობილი გერმანული ფარმაცევტული ფირმა სპონსორობდა. გამარჯვება იმ ფეხბურთელს მიენიჭა, რომელმაც ჩემპიონატის განმავლობაში თავისი გუნდისთვის ყველაზე საჭირო და გადამწყვეტი გოლები გაიტანა. აღმოჩნდა, რომ „ლევერკუზენს“ ჯამში მოგროვილი 73 ქულიდან 20 სწორედ ულფ კირსტენის ოსტატობამ მოუტანა.

# შუმახერის ბურთაობა

უკვე რამდენი წელია, არ ცხრება კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში. სამშვიდობო პროცესისთვის ხელის შეწყობა ფეხბურთელებმაც განიზრახეს. ისინი ყოველწლიურად საქველმოქმედო შეხვედრებსაც მართავენ, რომლის მიზანიც ომით დაზარალებული მოსახლეობის დახმარებაა. წლეულს ტრადიციად ქცეულ მატჩს რომი უმასპინძლებს და ის ხვალ შედგება. შემოსული თანხა პალესტინელთა სკოლების კომპიუტერებითა და სპორტული ინვენტარით აღჭურვას მოხმარდება.

რომის „ოლიმპიკოზე“ გაბრიელ ბატისტუტას, რუდ გულიტს, მიშელ პლატინის, ჟორჟ ვეასა და სხვა სახელოვან ფეხბურთელებს მხარს მიხაელ შუმახერიც დაუმშვენებს. დიდი მრბოლი თურმე ფეხბურთსაც ჩინებულად თამაშობს და მისი მინდორზე გამოჩენა „ფერარისაც“ ხელს აძლევს — რეკლამაა.

მეტოქე გუნდსაც თავისი საქმის პროფესიონალები წარადგენენ — იტალიელი ესტრადის მომღერლები. მათ კარს ეროს რამაზოტი დაიცავს, ვისაც მიხაელ შუმახერი მარჯვენა ფლანგიდან შეუტევს.



რაზე საუბრობენ ოტო რეჰაგელი და მიხაელ შუმახერი, ფეხბურთზე თუ რბოლაზე?

## გერმანია ევრო 2000-ზე

ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა ევროპის ჩემპიონატისთვის 22 რჩეული ფეხბურთელი დაასახელა, რომელთა შორისაც მოხვდა „მიუნხენ 1860“-ის ვეტერანი ნახევარმცველი თომას „იკე“ ჰესლერი

### მეკარეები

ოლივერ კანი ........ ბაიერნი
იენს ლემანი ........ ბორუსია, დორტმუნდი
ჰანს იორგ ბუტი ........ ჰამბურგი

### მცველები

მარკუს ბაბელი ........ ბაიერნი
თომას ლინკე ........ ბაიერნი
ლოთარ მათეუსი ........ ნიუ იორკ მეტროსტარზი, აშშ
იენს ნოვოტნი ........ ბაიერი, ლევერკუზენი
მარკო რემერი ........ ჰერტა

### ნახევარმცველები

მიხაელ ბალაკი ........ ბაიერი, ლევერკუზენი
სებასტიან დაისლერი ........ ჰერტა
თომას ჰესლერი ........ მიუნხენ 1860
დიტმარ ჰამანი ........ ლივერპული, ინგლისი
იენს იერემისი ........ ბაიერნი
კარსტენ რამელო ........ ბაიერი, ლევერკუზენი
მეჰმეთ შოლი ........ ბაიერნი
დარიუს ვოში ........ ჰერტა
კრისტიან ციგე ........ მიდლსბრო, ინგლისი

### თავდამსხმელები

ოლივერ ბირჰოფი ........ მილანი, იტალია
მარკო ბოდე ........ ვერდერი
კარსტენ იანკერი ........ ბაიერნი
ულფ კირსტენი ........ ბაიერი, ლევერკუზენი
რობერტო პაულო რინკი ........ ბაიერი, ლევერკუზენი

## ჰოლანდია

პლეი ოფი

II ტური

A ჯგუფი

გრონინგენი — ჰერაკლესი 4:2; ემენი — მაასტრიხტი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრონინგენი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:3 | 6 |
| ემენი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ჰერაკლესი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| მაასტრიხტი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:6 | 1 |

B ჯგუფი

ექსელსიორი — კამბური 1:2; ცვოლე — როოსენდალი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამბური | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| როოსენდალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ექსელსიორი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ცვოლე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

## უნგრეთი

32-ე ტური: დიორ ეტო — ჰონვედი 4:0; ჰალადაში — შიოფოკი 0:1; ვაშაში — ნადიკანიჟა 1:4; პეჩი — ტატაბანია 2:2; ზალაეგერსეგი — უიპეშტი 1:1; ვაცი — დებრეცენი 0:5; მტკ — დიოშდიორი 3:1; დუნაფერი — ნიირშეგი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 31 | 23 | 7 | 1 | 76:23 | 76 |
| მტკ | 31 | 18 | 9 | 4 | 63:25 | 63 |
| ვაშაში | 31 | 18 | 4 | 9 | 57:32 | 58 |
| ტატაბანია | 31 | 13 | 13 | 5 | 35:33 | 52 |
| ფერენცვაროში | 31 | 13 | 8 | 10 | 55:37 | 47 |
| დებრეცენი | 31 | 13 | 8 | 10 | 49:40 | 47 |
| დიორ ეტო | 31 | 12 | 8 | 11 | 51:34 | 44 |
| პეჩი | 31 | 11 | 11 | 9 | 40:46 | 44 |
| უიპეშტი | 31 | 10 | 11 | 10 | 46:39 | 41 |
| ნიირშეგი | 31 | 11 | 8 | 12 | 30:41 | 41 |
| ზალაეგერსეგი | 31 | 8 | 15 | 8 | 33:29 | 39 |
| ჰონვედი | 32 | 10 | 9 | 13 | 27:39 | 39 |
| ნადიკანიჟა | 31 | 7 | 9 | 15 | 26:43 | 30 |
| ჰალადაში | 31 | 7 | 8 | 16 | 32:48 | 29 |
| შიოფოკი | 31 | 7 | 7 | 17 | 26:50 | 25 |
| დიოშდიორი | 31 | 5 | 9 | 17 | 26:53 | 24 |
| ვაცი | 31 | 3 | 6 | 22 | 24:84 | 15 |

*„შიოფოკს“ დაკლებული აქვს 3 ქულა.*

## მაკედონია

თასის ფინალი

*სლოგა იუგომაგნატი 6:0 პობედა*

1:0 მისერდოვსკი (42), 2:0, 3:0 ბექირი (55, 66), 4:0 მუსტაფი (71), 5:0 ბექირი (74), 6:0 პესილესკი (81)

# გერმანელებს გუნდესნაკრების არ სჯერათ

გერმანულმა სოციოლოგიურმა სამსახურმა „ემნიდმა“ გამოკითხვა მოაწყო. კითხვები გერმანიის ნაკრებს და ევროპის ჩემპიონატზე მის შანსებს შეეხებოდა. აღსანიშნავია, რომ ამგვარი გამოკითხვა აპრილში, შვეიცარიასთან უსახურ თამაშამდეც ჩატარდა. ეს კი მოსახლეობის განწყობის ცვლილების შესწავლის საშუალებას იძლევა.

გერმანელთა მხოლოდ 28 პროცენტს სჯერა, რომ მათი გუნდი ოთხი წლის წინანდელ წარმატებას გაიმეორებს. არადა, აპრილში მათი რიცხვი 34 პროცენტი იყო. ბუნდესნაკრების ფინალში გასვლას 38 პროცენტი ვარაუდობს, წინა თვის მაჩვენებელთან შედარებით ათი პროცენტით ნაკლები. შესაბამისად, მცირდება კეთილგანწყობაც ფეხბურთელთა მიმართ. გერმანელთა 63 პროცენტი თვლის, რომ ნაკრების წევრებს მეტად ქედმაღლურად უჭირავთ თავი. ამასთანავე 66-დან 20 პროცენტამდე დავიდა მათი რაოდენობა, ვისაც მიაჩნია, რომ ფეხბურთელები საბრძოლველად მზად არიან. და ბოლოს, აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, მოთამაშეთათვის ფული უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ღირსება.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08


NEWS OF THE WORLD

❷ გაერთიანებული სამეფოს დედოფალი სტენლი მეტიუზს ულამაზეს გოლსა და თასის მოპოვებას ულოცავს

# ტყუპი კოშკის ვნებანი

*ესეც ასე. მსოფლიოს უძველესი საფეხბურთო შეჯიბრება და სახელგანთქმული „უემბლი“ ერთმანეთს დაშორდნენ. გასულ შაბათს ტყუპი კოშკი უკანასკნელად დასცქეროდა ინგლისის თასის საზეიმო გადაცემას — ოქტომბერში „უემბლის“ დაანგრევენ, მის ადგილზე კი 2003 წელს ახალი სტადიონი მოიწონებს თავს, ოღონდ მას „თვინ თაუერსი“ ვეღარ დაამშვენებს.*

*არადა, რაც ამ კოშკებს უნახავთ... სხვას რომ თავი ვანებოთ, 1923 წლიდან ასოციაციის თასის ფინალებს მასპინძლობდა. ფინალი ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა, თუმცა ყველა ერთნაირად დრამატული როდია. ჰოდა, გაზეთმა „ნიუს ოფ ზი უორლდმა“ გუშინწინ „უემბლიზე“ ჩატარებულ ფინალთა თავისებური კლასიფიკაცია შემოგვთავაზა.*

## ხუთი საუკეთესო ფინალი

**❺ 1987 წელი.**
**ქოვენთრი 3:2 ტოტენჰემი**

ეს „ქოვენთრის“ ისტორიაში უდიდესი გამარჯვების დღეა. არადა, მატჩის წინ ყველა იმას მკითხაობდა, რამდენ გოლს გაუტანდა „ტოტენჰემი“ მეტოქეს. ლონდონელების კარში გამარჯვების გოლი თავად დედაქალაქელთა კაპიტანმა გარი მაბატმა შეაგდო, რომელიც დღემდე ერთადერთია, ვინც თასის ფინალში თავის კარშიც გაიტანა და მეტოქისაშიც.

**❹ 1981 წელი.**
**ტოტენჰემი 3:2 მანჩესტერ სიტი**

ამ თამაშს ალბათ „ოზის ფინალს“ დაარქმევდნენ (ოზი ოსვალდო არდილესის მეტსახელია), მაგრამ იმ დღეს „ტოტენჰემის“ რიგებში კიდევ ერთი არგენტინელი თამაშობდა — რიკარდო ვილა. ორი გატანილი გოლით, მათ შორის მეორე დიდებული სოლო გარღვევის შედეგად, მან იმ დროს არგენტინასთან მეომარი მთელი ინგლისის გული მოიგო.



❹ რიკი ვილას ზღაპრულმა გოლმა ლამის მეომარი მხარეები შეარიგა

**❸ 1979 წელი.**
**არსენალი 3:1 მანჩესტერ იუნ.**

თითქოს ყველაფერი დამატებით დროს უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ მანჩესტერელებმა დამთავრებამდე 5 წუთით ადრე შეაგდეს. მერე იყო არსენალელი ალან სანდერლენდის იშვიათი სილამაზის გამთანაბრებელი გოლი, ცოტა ხანში კი „იუნაიტედმა“ კიდევ ორი გაუშვა. ამის გამო ამ მატჩს „ხუთი წუთის ფინალი“ შეარქვეს.

**❷ 1953 წელი.**
**ბლეკპული 4:3 ბოლტონი**

„მეტიუზის ფინალი“. წლეულს გარდაცვლილი სერ სტენლი მეტიუზი იმ დროს „ბლეკპულში“ თამაშობდა და ბოლო წუთზე საოცარი დრიბლინგითა და გატანილი გოლით თასი თავის გუნდს ჩააბარა. დანარჩენი სამი გოლი „ბოლტონის“ კარში სტან მორტენსენმა შეაგდო.

**❶ 1973 წელი.**
**სანდერლენდი 1:0 ლიდსი**

გაზეთის აზრით, ეს ინგლისის თასის ისტორიაში საუკეთესო ფინალი გახლდათ, მისი შედეგი კი — ყველაზე მოულოდნელი. მეორე დივიზიონის „სანდერლენდმა“ იან პორტერფილდის ერთადერთი გოლით გაიმარჯვა. როგორც მაშინდელი პრესა წერდა, მწვრთნელ ბობ სტოუკის შეგირდებმა შეშლილებივით იბრძოლეს და დამსახურებულადაც მოიგეს.

## ხუთი უცუდესი ფინალი

**5. 1993 წელი. არსენალი — შეფილდ უენსდი 3:1**

ლონდონელი ენდი ლინიგენის ლამაზი თავურის გარდა დასამახსოვრებელი არაფერი მომხდარა. „უენსდი“ მთელი თამაში დაცვაში იდგა, თითქოს ჩემპიონატის რიგით მატჩში ქულის მოპოვებას ცდილობდა.

**4. 1974 წელი. ლივერპული — ნიუკასლი 3:0**

„ლივერპულის“ ერთი ჩვეულებრივი, სხვათაგან არაფრით გამორჩეული გამარჯვება და მეტი არაფერი.

**3. 1996 წელი. მანჩესტერ იუნაიტედი — ლივერპული 1:0**

მეტოქეები მთელი მატჩის მანძილზე იმას ცდილობდნენ, ერთმანეთისთვის ხელი შეეშალათ. მერე კანტონამაც დაარტყა და...

**2. 1968 წელი. ვესტ ბრომვიჩი — ევერტონი 1:0**

საზიზღარი 90 წუთი, დამატებითი დრო კი უარესი. ერთადერთი გოლი გაიტანა ჯეფ ასტლიმ, ვინც ორი წლის მერე, მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ბურთის კარში გარტყმა ვერაფრით შეძლო.

**1. 1984 წელი. ევერტონი — უოტფორდი 2:0**

„უოტფორდი“ ახალი გადასული იყო პირველ დივიზიონში და ჰყავდა ჯონ ბარნსი. ამის მიუხედავად, „ნიუს ოფ ზი უორლდმა“ ეს ფინალი ისტორიაში უსაზიზღრესად მიიჩნია.




❶ წამში საუკეთესო ფინალის ერთადერთი გოლი გავა

სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ჩემპიონთა ლიგა. ფინალი
24 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | რეალი-ვალენსია | 2,2 | 3,0 | 2,9 |

ჩემპიონთა თასის აღება
24 მაისი

701 რეალი (1,5)-ვალენსია (2,0)

*მიუთითეთ მხოლოდ ის გუნდი, რომელიც აიღებს თასს თასის აღების გადამრავლება თამაშის შედეგზე არ შეიძლება*

გერმანია. II ბუნდესლიგა. 34-ე ტური
25 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | მაინცი-ვალდჰოფი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 002 | ნიურნბერგი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 003 | ქემნიცი-ბერლინი | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 004 | კოტბუსი-კიოლნი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| 005 | ჰანოვერი-ბოხუმი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 006 | ფორტუნა-ოფენბახი | 2,5 | 3,0 | 2,0 |
| 007 | კარლსრუე-კიკერსი | 3,0 | 3,3 | 1,6 |
| 008 | ალემანია-ფიურტი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 009 | ზანქტ პაული-ობერჰაუზენი | 1,5 | 3,2 | 4,2 |

პოლონეთი. 29-ე ტური
24 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 011 | გურნიკი-ლეხი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 012 | ლკს-ზაგლებე | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 013 | ვისლა-ამიცა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 014 | რუხი-ლეგია | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| 015 | პოლონია-ოდრა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 016 | სტომილი-პლოცკი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 017 | პოგონი-ვიძევი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 018 | გროცლინი-რაძიონკოვი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

შვეიცარია. მე-12 ტური
25 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 020 | ბაზელი-ლუცერნი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 021 | სენტ გალენი-სერვეტი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 022 | ივერდონი-გრასჰოპერი | 2,9 | 3,0 | 2,2 |

დანია. 32-ე ტური
25 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 023 | ვიბორგი-ვაილე | 1,5 | 4,0 | 4,0 |
| 024 | ოლბორგი-ორჰუსი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| 025 | აკადემისკი-ბრიონდბიუ | 2,8 | 3,0 | 2,3 |
| 026 | კოპენჰაგენი-ლიუნგბიუ | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 027 | სილკებორგი-ჰერფიოლგე | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 028 | ოდენსე-ესბიერგი | 1,6 | 3,3 | 4,0 |

შვედეთი. თასის ფინალი
25 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 029 | აიკ-იორგრიტე | 1,7 | 3,3 | 4,2 |

ჰოკეი
24 მაისი

803 ნიუ ჯერსი-ფილადელფია

25 მაისი

804 კოლორადო-დალასი

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ნულიდან დაწყებული საქმე შესაბამისი შედეგით

ისევ მარცხი, საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები დანიიდან წაგებული ჩამოვიდა, ჯგუფში დაკავებული მესამე ადგილი ჩვენს ეროვნულ გუნდს ევროპისკენ გახედვის უფლებას არ აძლევს. საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დავძლიეთ, ევრობასკეტ-2003-ის შესარჩევ ციკლში თამაშის სურვილიც ჯერ-ჯერობით განუხორციელებელი დაგვრჩა.

შეიცვალნენ მწვრთნელები, გადახალისდა და გაახალგაზრდავდა გუნდი, მაგრამ მთავარი — შედეგი, არ ჩანს. ესაა რეალობა და გვერდს ვერავინ აუქცევს.

საიდან მოვყვეთ, რომელ ერთი ჩამოვთვალოთ, საქმეში ჩახედულთ ხომ ზედმიწევნით კარგად მოეხსენებათ ქართული კალათბურთის სატკივარი. ან კი ვის რაში სჭირდება გაუთავებელი ოხვრა და წუწუნი, წავიდა მაგის დრო, ქომაგს ასეთების მოსმენის არც თავი აქვს და აღარც სურვილი, წარუმატებლობას მტკივნეულად კი აღიქვამს, მაგრამ ველარ რეაგირებს, ქართული კალათბურთისთვის მარცხი ჩვეულებად ქცეულა და იმიტომ.

დღეს უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, ჭაობში ფეხდაცდენილმა ჩვენმა კალათბურთმა ფსკერზე დაყვინთა და ახლა იქიდან თავის დაღწევას ლამობს. ამის იქით აღარაფერია, ეროვნულმა გუნდმა ყველაფერი წააგო, რისი წაგებაც კი შეიძლებოდა. ეს კი ნიშნავს: ხელში შეგვრჩა სასიკვდილოდ განწირული ქართული კალათბურთი, რომელიც მოსასულიერებელი და ფეხზე ხელახლა დასაყენებელია.

და მაინც, დანიაში წაგება რეალურ სურათს ნამდვილად არ ამძიმებს. ვერც მწვრთნელებს მოჰკითხავ რაიმეს, როცა მათ ყველაფრის ნულიდან დაწყება უხდებათ. როგორ გინდა, გაამტყუნო ესა თუ ის კალათბურთელი, როცა ის ელემენტარულად თანაგუნდელს არ იცნობს. ან კი რატომ უნდა მოსთხოვო შედეგი ისეთ გუნდს, რომლის ლიდერებიც 16-17 წლის ბიჭები არიან...

ფაჩულია, ბოისა და ცქიტიშვილი დანიის ტურნირმა დიახაც რომ ნაკრების წამყვან მოთამაშეებად აქცია. მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე მთლიანად ლეგიონერებს დაეყრდნო. ძალაუნებურად იბადება ეჭვი, რომ საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე კალათბურთელები ევროპის მასშტაბით, ამ დონეზეც კი, გამოუსადეგარნი არიან (ცხადია, მეტ-ნაკლებად), მათ არ შესწევთ ძალა, წინააღმდეგობა გაუწიონ საშუალო ევროპულზე დაბალი კლასის გუნდებს. ეს



ზურაბ დოლიძეჯაშვილის ფოტო

საქართველოს ამ ნაკრებს ადრე გაფუჭებული საქმის გამოსწორება უწევს

სიმართლეა, მწარე სინამდვილეა და თვალი უნდა გავუსწოროთ.

სპორტში ასეა, მარცხის სიმძიმეს უპირველესად მწვრთნელებს წამოჰკიდებენ-ხოლმე ზურგზე. ამა თუ იმ წარუმატებლობის შემდეგ ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი, რასაც უმეტესად ხელმძღვანელობის ცვლა მოჰყვება. სხვათა მაგალითები ჩვენ არას გვარგებს, საკუთრივ ქართული კალათბურთისთვის ამას ზიანის მეტი არაფერი მოუტანია. ამიტომ მწვრთნელებზე ხელის შეხოცვას ნუ ვიჩქარებთ, სჯობს, უფრო ღრმად შევიხედოთ ჩვენი კალათბურთის სამზარეულოში და განტევების ვაცს კი არა, იქნებ ფარასაც გადავაწყდეთ.

გააჩნია, კაცი როგორ მიუდგება საკითხს, თორემ მტყუანს გაამართლებს და სულ ალალ-მართალს ჩაწიხლავს. ეს წერილი მხოლოდ იმიტომ იწერება, რომ ქართული კალათბურთის საჭეთმპყრობელებს დაშვებულ შეცდომებზე მიეთითოთ, მტყუან-მართალის გარჩევა კი, დამეთანხმებით სულ სხვა ინსტანციების საქმეა.

არა მგონია, თავმოყვარე ქართველს სირცხვილის გრძნობა არ დაეუფლოს, როცა გაიგებს, რომ მისი ქვეყნის ნაკრები პირველ თამაშში 21 ქულით დამარცხდა და თანაც ლუქსემბურგთან. გუნდთან, რომელმაც შემდეგ ოთხივე შეხვედრა წააგო და მიიღო ის, რაც ალბათ ეკუთვნოდა კიდეც — ბოლო ადგილი. გამოდის, რომ საშველი არ ყოფილა, ქართული კალათბურთი ისე დაუძლურდა, ლუქსემბურგთან მარცხდება. მაშ, ის რაღაა, დანიას რომ უგებს? როგორ მოახერხეს ჩვენებურებმა ირლანდიელთა ძლევა? იქნებ შემთხვევით?..

არა, მოვლენათა ბოლოდროინდელი განვითარება ცხადყოფს, რომ საქართველოს ნებისმიერი ასაკის ნაკრები, ნებისმიერი რანგის ტურნირს წაგებით იწყებს, მნიშვნელობა არა აქვს, მეტოქედ ლუქსემბურგი ეყოლება თუ საკალათბურთო ელიტის წარმომადგენელი ქვეყნის გუნდი. განა აღარ არის დრო, გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ? არ შეიძლება, რომ შეჯიბრზე გამგზავრებამდე ერთი-ორი ნორმალური სპარინგ-პარტნიორი გამოვნახოთ და ნაკრებს სათამაშო პრაქტიკა შევძინოთ? შეიძლება და უნდა შევძლოთ კიდეც, თუ არადა კიდევ კარგა ხანს ვიქნებით შერცხვენილნი.

დღევანდელობამ ფედერაციის საქმიანობაში კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, უპატიებელი ხარვეზი გამოაჩინა, რაც ასევე კალათბურთის სათავეებთან არსებულ ნაკლოვანებებზე მიგვანიშნებს. ვინ იცის, ზაზა ფაჩულიას სანაცვლოდ რა დაივალა ქართველთა მხარემ, ფედერაციამ ხომ დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგლა დაიყოლია თურქული „ულქერი“, რათა ამ კლუბს ფაჩულია ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ გამოეშვა. ამ ბიჭმა, თანაგუნდელთა უმრავლესობა თვითმფრინავის ტრაპზე რომ გაიცნო, დანიაში გუნდის ლიდერობა გასწია. სულ რამდენიმე თვის წინ კი მის ადგილსამყოფელს ძნელად თუ გეტყოდათ ვინმე. ფაჩულიამ თავად გაიკეთა კარიერა, ფედერაციამ კი მერეღა გაიხსენა, როცა მასზე უფლებები უკვე თურქებს ჰქონდათ. სახვეწრად და სადავიდარაბოდაც ამიტომ გაიხადა საქმე.

კიდევ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მარცხის მიზეზები იქნებ დაუსრულებლადაც ვარკვიოთ, დღეს-ხვალ მწვრთნელები, კალათბურთელებიც ალაპარაკდებიან და ბევრ რამესაც ამის მერე მოეფინება ნათელი, მაგრამ ჭეშმარიტი ქომაგი მხოლოდ შედეგს დაგიდევთ და სხვას არაფერს. მას არ აინტერესებს, თუ რატომ არ ჩამოვიდა ნაკრებში ვლადიმერ სტეფანია, არც ის, რომ ტრავმირებულია ვახტანგ ნაცვლიშვილი და საოპერაციოა დავით ბერძენიშვილი. გულშემატკივარს არც ის აღელვებს, გაიარა თუ არა ნაკრებმა სრულფასოვანი შეკრება, დროულად მოხერხდა თუ არა ლეგიონერთა ჩამოყვანა და რამდენად სწყალობდა დანიაში გუნდს იღბალი.

...მაინც რა არის ქართული ხასიათი. დანიისა და ირლანდიის შიში ჰქონდათ მწვრთნელებს და ნაკრებმა მაინცდამაინც ამ ორს მოუგო, დანარჩენებთან კი დათმო შეხვედრები. ლუქსემბურგზე რომ არაფერი ვთქვათ, რუმინეთთან და კვიპროსთან ლამის მოგებული თამაშები წავაგეთ. ეგ რომ არა, თავში საცემრადაც აღარ გვექნებოდა საქმე.

ისე, ნამეტანი არაფერი ვარგა. ყველაფერს სჯობს, დღეიდანვე შევუდგეთ მომავალზე ზრუნვას. ქართულ კალათბურთში მოვიდა ახალი თაობა, რომელიც ხვალინდელი დღის რწმენას გვისახავს. ფაჩულია, ბოისა, ცქიტიშვილი, უგრეხელიძე — ეს უკვე ჩვენი კალათბურთის აწმყოა, სწორედ ამ ბიჭების გარშემო უნდა აშენდეს სწორუპოვარი და ყველასათვის ანგარიშგასაწევი საქართველოს ნაკრები.

**გიორგი ბიძაშვილი**

კონფერენციათა ფინალები (ოთხ მოგებამდე)

# რაშიდის დედის დარიგება

**დასავლეთი**

22 მაისი

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 1 |
| პორტლენდი | 1 |

**ლეიკერსი 77:106 პორტლენდი**

ლეიკერსი: ჰარპერი (7), ბრაიანტი (12), რაისი (6), გრინი (6), შ. ონილი (23 ქულა, 12 მოხსნა); შოუ (8), ფოქსი (6), ჰორი (2), ფიშერი (2), ნაითი (2), ჯორჯი (1), სილი

პორტლენდი: სტუდემაიერი, სმიტი (24), პიპენი (21 ქულა, 11 მოხსნა), ვოლესი (29 ქულა, 12 მოხსნა), საბონისი (5); ველსი (12), ენტონი (6), ჯ. ონილი (4), ბ. გრანტი (2), შრემპფი (2), გ. გრანტი (1), ოგმონი

„ლეიკერსის“ შინაურ დარბაზ „სტეიპლზ სენთერში“ მისული ხალხი, რომელთა შორის ბევრი ცნობილი მსახიობი და, რაღა თქმა უნდა, ჯეკ ნიკოლსონიც გახლდათ, დარწმუნებული იყო, მათი ჯილა ისევე იოლად დაამარცხებდა „პორტლენდს“, როგორც ორი დღის წინ, შაკილ ონილი კი ჩვეულად წალეკავდა მეტოქის დაცვას. ამის ნაცვლად „ლეიკერსის“ ძლევამოსილი გამარჯვებებით განებივრებულმა 19 ათასმა გულშემატკივარმა სრულიად საპირისპირო რამ იხილა. ეს გახლდათ „ლეიკერსის“ უდიდესი იმედგაცრუება ამ სეზონში. „პორტლენდმა“ დაიბრიყვა მასპინძლები, პირწმინდად დაარღვია მათი კალათი და შინაც უზომოდ დამყოფილი და რწმენაგაღვივებული დაბრუნდა. რაც შეეხება მასპინძელთა ბომბდამშენ შაკილ ონილს, მან რამდენიმე ბურთი ჩვეულ ძალისმიერ სტილში ჩააგდო, თუმც მხოლოდ ბოლო მეოთხედში, როცა მისი გუნდი „პორტლენდს“ ოცი ქულით ჩამორჩებოდა. მას ბოლო თორმეტწუთეულში 14 ქულა მოგროვდა, რაც სხვა შემთხვევაში ნამდვილად არ იქნებოდა ურიგო შედეგი, მაგრამ ამ სიტუაციაში „ლეიკერსი“ არ საჭიროებდა ონილის თავგამოდებას. მისი ეს „საგმირო საქმეები“ კი ბევრმა ვერავინ ნახა, რადგან თავისი გუნდის უსუსური თამაშით გაწბილებულ გულშემატკივართა დიდმა უმრავლესობამ ჯერ კიდევ მესამე მეოთხედის მიწურულს აიკრა გუდა-ნაბადი და ვინ ოჯახს, ვინ კი ბარს მიაშურა ბოღმის ჩასაცხრობად.

და რას აკეთებდა მანამდე შაკილ ონილი. ლოს ანჯელესის ნახევარს თუ არა, მეოთხედის საფიცარი კაცი კუთვნილ ადგილას, ფარქვეშ იდგა და ალბათ თავბედს იწყევლიდა. მას კვლავ არვიდას საბონისი მეურვეობდა და გაცილებით ნაყოფიერად, ვიდრე წინა შეხვედრაში, ხანაც ბრაიან გრანტი იდგა ონილსა და კალათს შუა. შაკილმა ვერც ერთ მათგანს ვერ აჯობა, პირველ სამ მეოთხედშიც მისი მონაგარი სულ რაღაც ცხრა ქულით შემოიფარგლა.

არადა, მასპინძლებმა ურიგოდ არ დაიწყეს. პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში და „პორტლენდის“ მხოლოდ სამქულიან უპირატესობაში გაილია. „ლეიკერსი“ 48:45 აგებდა და მაშინ, როცა ყველა ფიქრობდა, რომ მეორე ტაიმი უფრო დაძაბული გამოდგებოდა, აფეთქდა „პორტლენდი“. სტუმრები უცებ აბობოქრდნენ და როდესაც მესამე თორმეტი წუთი გაილია, ანგარიში უკვე 76:53 იყო „პორტლენდის“ სასარგებლოდ. „ლეიკერსმა“ მესამე მეოთხედში სულ რვა ქულა ჩააგდო და კლუბისთვის პლეი ოფების ანტირეკორდი დაამყარა. პერიოდის დამთავრებამდე 1,3 წამით ადრე სტუმრები მასპინძელ კობი ბრაიანტზე რომ არ დაჯარიმებულიყვნენ და იმას ორი საჯარიმო არ ჩაეგდო, მეოთხედში დაგროვილი ექვსი ქულით „ლეიკერსი“ პლეი ოფების ყველა დროის ანტირეკორდსაც გამოჰკრავდა ხელს. როდესაც მასპინძლები ჯახირობდნენ და მათი ყველა შეტევა ან ბურთის დაკარგვით ან აცილებული სროლით მთავრდებოდა, „პორტლენდი“ სულ იოლად აგროვებდა ქულებს. საბონისმა ფარქვეშიდან პერიმეტრზე ამოსვლა იწყო და რამდენჯერმე შაკილ ონილიც ამოიყოლია, განთავისუფლებულ ფარქვეშა სივრცეში კი თავის ნებაზე დათარეშობდნენ სტივ სმიტი, სკოტი პიპენი და სათადარიგო ბონზი ველსი.

ყველაფერი საბოლოოდ მატჩის საუკეთესო მოთამაშემ, რაშიდ ვოლესმა გადაწყვიტა. ვოლესმა, რომელსაც მთელი სეზონის განმავლობაში ათი სამქულიანიც არ ჩაუგდია, ორწუთიან მონაკვეთში სამი სროლიდან სამჯერვე ივარგა სამქულიანი დისტანციიდან და საბოლოოდ გატეხა მეტოქე. მას ჯამში 29 ქულა და 11 მოხსნა მოუგროვდა მაშინ, როცა წინა თამაშში მის ანგარიშზე სულ 11 ქულა და ხუთი მოხსნა იყო. ჩვეულებრივ ნერვიულმა ვოლესმა, რომელმაც სერიის პირველ შეხვედრაში მსაჯს შეუბღვირა და ამისთვის ორი ტექნიკური და თამაშიდან გაგდება მიიღო, თავის მოთოკვაც შეძლო. ამჯერად იგი გადაურჩა ტექნიკურს. უწყინარ ბატკნად ქცეული რაშიდის დამშვიდებაში ლომის წილი დედამისმა დაიდო, რომელიც ამ თამაშს ესწრებოდა და შვილის ყოველი ბურთის ჩაგდებას აღფრთოვანებული ხვდებოდა. მისის ვოლესს თავის სასახელო ბიჭისთვის თამაშის წინ კიდეც უთქვამს — შვილო, ვიცი სხვაგვარად არ შეგიძლია, მაგრამ ხომ იცი, შენი ნერვიულობა შენვე გვნებს და თუ გიყვარდე, ჯანმრთელობას გაუფრთხილდიო.

ვოლესის სამქულიანების შემდეგ მატჩი უაზრობად იქცა. მით უმეტეს, „პორტლენდი“ ბოლო მეოთხედში არათუ მოეშვა, პირიქით, სხვაობა 29 ქულამდე გაზარდა.

მაშ ასე, „ლეიკერსმა“ მიმდინარე პლეი ოფში შინ პირველად წააგო და მერე როგორ. ფილ ჯექსონის ბიჭებს რევანშის აღების შესაძლებლობა პარასკევს, 26 მაისს მიეცემათ. სერიის მესამე და მეოთხე შეხვედრებს მეორე მატჩის ტრიუმფატორი უმასპინძლებს.

**ირაკლი ფირცხალავა**



REUTERS

ლეიკერსი — პორტლენდი. რაშიდ ვოლესმა (№30) ლეიკერსელთა კალათი აიკლო

# დონ ტელბოტი: სიდნეიში ამერიკელთა ბატონობას დავამხობთ


დონ ტელბოტი

*ავსტრალიელ მოცურავეთა ნაკრების მწვრთნელი დონ ტელბოტი იმედოვნებს, რომ მისი შეგირდები სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე სპორტის ამ სახეობაში ამერიკელთა ჰეგემონიას დაამხობენ. ამის იმედი მას განსაკუთრებით ავსტრალიის ეროვნული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გასჩენია. ვხედავ, რომ გუნდს შესწევს უნარი იყოს საუკეთესო, რომელიც კი ოდესმე ჰყოლია ავსტრალიასო — განაცხადა ტელბოტმა.*

ᲐᲛᲐᲡᲝᲑᲐᲨᲘ გუნდი, რომელიც 22-22 ქალ-ვაჟი სპორტსმენითაა დაკომპლექტებული, ჯერ კიდევ დასამტკიცებელია ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ. საინტერესოა, რომ კირენ პერკინსისთვის, სიუზან ონილისთვის, მეტიუ დანისთვის, ფილ როჯერსისთვის, ელი ოვერნტონისა და ჰეილი ლუისისთვის სიდნეის ოლიმპიური თამაშები მესამე იქნება. მათ უასპარეზიათ ბარსელონასა და ატლანტის ოლიმპიადებზე. სიდნეის თამაშები ექვსი მოცურავისთვის მეორე იქნება.

გუნდში ყველაზე ასაკოვანი 29 წლის თავისუფალი სტილით მოცურავე კრის ფიდლერია, ყველაზე ახალგაზრდა კი 14 წლის ბრასით მოცურავე ლეისელ ჯონსი გახლავთ.

ამათგან ოლიმპიური ოქრო პერკინსსა და ონილს მოუპოვებიათ.

პერკინსმა ასეთ წარმატებას მიაღწია ბარსელონასა და ატლანტაში, სადაც 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჩემპიონობა მოიპოვა. სიდნეიში იგი იმედოვნებს გახდეს პირველი მოცურავე კაცი, რომელიც მესამე ოლიმპიადაზეც იგივეს გაკეთებას შეძლებს.

ონილი კი მიისწრაფვის იმისკენ, რომ დაიცვას ატლანტაში 200 მეტრზე ბატერფლაით მოპოვებული ჩემპიონობა. ეს სრულიად შესაძლებელი ჩანს — მან ხომ ახლახან მარი ტი მიგერის 19 წლის წინანდელი მსოფლიოს რეკორდი დაამხო.

მიუხედავად ამისა, ყველაზე მეტ ყურადღებას ალბათ მიაპყრობენ სიდნეელ 17 წლის იან ტორპს, რომელიც მინიმუმ სამ ოლიმპიურ ოქროს უმიზნებს (200, 400 და 4X200 თავისუფალი სტილით ცურვაში).

მართლაც, შესარჩევ ჩემპიონატზე სამი მსოფლიოს რეკორდის დამყარებით იგი სიდნეის ოლიმპიადის მთავარი ფავორიტი შეიქნა.

აღსანიშნავია ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორის, 26 წლის ჰეილი ლუისის ნაკრებში მოხვედრაც. მას შემდეგ, რაც ლუისმა წარმატებას ვერ მიაღწია ატლანტაში, თავი დაანება სპორტს და დაოჯახდა, მშობიარობის მერე კი გადაწყვიტა ვარჯიშით ზედმეტი წონა მოეშორებინა, მაგრამ იმდენი ქნა, რომ ფორმა დაიბრუნა და ნაკრებში მოხვდა.

გუნდს დაუბრუნდა 200 მეტრზე ბრასით ყოფილი მსოფლიოს რეკორდსმენი რებეკა ბრაუნიც, რომელმაც ატლანტის ოლიმპიადაზე ვერმოხვედრის გამო სპორტს თავი დაანება და მხოლოდ შარშან დაბრუნდა იმ იმედით, რომ სიდნეის ოლიმპიადისთვის გუნდში დაიმკვიდრებდა ადგილს, რაც შეძლო კიდეც.

საყურადღებოა, რომ მწვანე კონტინენტის წარმომადგენლები პირველები არიან, რომლებმაც ოლმპიური თამაშების შესარჩევი ტურნირი ჩაატარეს, რასაც თავისი მიზეზი აქვს.

— ამ გუნდმა ზღვარი დააწესა. ამიტომაც მომდევნო თვეებში ვაპირებთ დავაკვირდეთ ყველა იმ კონკურენტს, რომლებიც ჩვენი შედეგების გაუმჯობესებას შეეცდებიან, თუ კი ეს საერთოდ შეძლეს — თქვა ტელბოტმა.

**ᲒᲘᲒᲐ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ**



# ტოსკანაში ტოსკანელები იგებენ

ᲢᲝᲡᲙᲐᲜᲐᲨᲘ არის მთა, რომელსაც იქაურები სან პელეგრინო ინ ალპეს ეძახიან. „ჯიროს" გზას ბევრჯერ გაუვლია წმინდა პელეგრინოს სახელობის ალპიურ მწვერვალზე. ასე იყო წლეულსაც. ჰოდა, სან პელეგრინო ინ ალპე, ამჯერად, ტრამპლინი გამოდგა ტოსკანელი მრბოლის, ფრანჩესკო კასაგრანდესთვის, რომელმაც ორშაბათს „ჯიროს" მეცხრე ეტაპი მოიგო და ვარდისფერი მაისურაც დაისაკუთრა.

ტოსკანური მთის სიმაღლე 1524 მეტრია ზღვის დონიდან და მისი ფერდობების დახრილობა ზოგან 16 პროცენტსაც აღწევს. უმშვენიერესი ტყეების ფონზე კასაგრანდემ ყველას აჩვენა თავისი ძალა. დღის მთავარი შეტევის მოთავე სწორედ ის იყო და მწვერვალის (და შესაბამისად ფინიშის) მოახლოებასთან ერთად მეტოქეებსაც გაექცა.

აბეტონში, ამ მოკლე ეტაპის (138 კმ) ფინიშზე, ტოსკანელმა ათიოდე მეტოქეს წუთ-ნახევარზე მეტით მიასწრო. მაყურებლებს ამ ჯგუფში შეჯიბრის რამდენიმე ფავორიტის ამოცნობა შეეძლო — ივან გოტი, პაველ ტონკოვი, ლეონარდო პიეპოლი. აი, მარკო პანტანის გამოჩენას კი კიდევ კარგა ხანი ელოდნენ იტალიელი ქომაგები. პირველ აღმართში მოწყობილ ფინიშზე მეკობრემ დაახლოებით 7 წუთი წააგო, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მხოლოდ ვარჯიშით სპორტული ფორმის შენარჩუნება შეუძლებელია. სან პელეგრინო ინ ალპეს ფერდობებზე (14,3 კმ) პანტანის დაღლა შეეტყო. იგი თავიდან მოწინავე ჯგუფის (რომლის სათავეშიც კასაგრანდეს თანაგუნდელები იყვნენ) ბოლოში მოექცა. მალე კი, სხვა მერკატონელების (ძაინა, ველო) დახმარების მიუხედავად, დანებება მოუხდა.

ამ მთის უმაღლეს წერტილს (104-ე კმ) „მერკატონე უნოს" ლიდერმა 4 წუთისა და 25 წამის ჩამორჩენით უწია ვარდისფერმაისურიანი ხოსე გუტიერესის თანხლებით. მათ გარდა დღის უიღბლოდ „რომანდიის ტურის" ამასწინანდელი გამარჯვებული პაოლო სავოლდელი შეიძლება ჩაითვალოს. საეკოლი საერთო ჩათვლაში კასაგრანდეს 3 წუთითა და 38 წამით ჩამორჩება, არადა „ჯიროს" უპირველეს ფავორიტად იყო მიჩნეული.

სამაგიეროდ, მშვენივრად გამოდის იტალიელი მრბოლების ახალი თაობა. სტეფანო გარზელის (მერკატონე უნო), დარიო ფრიგოს (ფასა ბორტოლო) და დანილო დი ლუკას (კანტინა ტოლო) ძალაც ერჩით და კასაგრანდესთან არცთუ ისე ბევრს აგებენ. ასე რომ, ბრძოლა „ჯიროსთვის" ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. სხვათა შორის, ვარდისფერი მაისურის ახალი მფლობელიც ამ თაობის წევრია.

ფრანჩესკო კასაგრანდესთვის ეს „ჯიროს" პირველი მოგებული ეტაპია. ისე, მთელი გაზაფხულის განმავლობაში, როგორც საშუალება მიეცემოდა, ის სხვადასხვა შეჯიბრებებში ხან მარტო და ხან ვინმესთან ერთად ახორციელებდა შეტევებს, თუმცა წარმატება ყოველთვის ბოლო წამს უსხლტებოდა ხელიდან. მშობლიურ მთებში კი მართლაც შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა.

**ᲒᲐᲘᲝᲖ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ**

**მეცხრე ეტაპი**

პრატო — აბეტონე, 138 კმ

1. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, ვინი კალდიროლა) — 4სთ 22წთ 58წმ
2. სტეფანო გარზელი (იტალია, მერკატონე უნო) — +1წთ 39წმ
3. დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო)
4. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრ)
5. დანილო დი ლუკა (იტალია, კანტინა ტოლო) — ყველას იგივე დრო

**ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ**

1. ფრანჩესკო კასაგრანდე — 47სთ 05წთ 31წმ
2. დანილო დი ლუკა — +51წმ
3. ანდრეა ნოე (იტალია, მაპეი) — +1წთ 39წმ
4. სტეფანო გარზელი — +1წთ 39წმ
5. დარიო ფრიგო — +1წთ 40წმ


ფრანჩესკო კასაგრანდე



# მერთენსს რომ არ დაერტყა...

**ზე 12. ნახევარფინალი**

20 მაისი

**ᲙᲠᲐᲘᲡᲢᲩᲔᲠᲩᲘ (ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ) 37**
**ᲓᲐᲜᲘᲓᲘᲜᲘ (ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ) 15**

კრაისტჩერჩი: 3ლ — ვუნიბაკა (2), კრაიბი; 2გ და 6ს — მერთენსი
დანიდინი: 2ლ — მალინგი, კელეჰერი; 1გ — ლეინი; 1ს — ბრაუნი

21 მაისი

**ᲙᲐᲜᲑᲔᲠᲐ (ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ) 28**
**ᲘᲝᲰᲐᲜᲔᲡᲑᲣᲠᲒᲘ (ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ) 5**

კანბერა: 3ლ — უოლკერი, როფი, ჰარდი; 2გ და 3ს — მორტლოკი
იოჰანესბურგი: 1ლ — ვან დერ უოლტი


კანბერელმა ენდრიუ უოლკერმა იოჰანესბურგელებს სამი ლელო გაუტანა

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ მოსალოდნელი იყო, ნახევარფინალში ორივე ფავორიტმა გაიმარჯვა და ვინაიდან ჯგუფურ ტურნირში კანბერა პირველ ადგილზე გავიდა, კრაისტჩერჩი კი მეორეზე, ფინალში ავსტრალიელები მეტოქეს შინ დაუხვდებიან. საინტერესოა, რომ წინა ოთხი ფინალიდან ოთხივე ახალ ზელანდიაში ჩატარდა და ოთხივეში კუნძულელებმა გაიმარჯვეს. ეს დანიდინმა და კრაისტჩერჩმა შეძლეს ორ-ორჯერ.

შარშანდელი ფინალისტების დაპირისპირებაში კრაისტჩერჩმა კი მოიგო, მაგრამ თამაშამდე მისმა თავკაცებმა გვარიანად ინერვიულეს. მატჩის წინა დღეს საბოლოოდ გაირკვა, რომ „ოლ ბლექსის" წევრები ჯასტინ მარშალი და ნორმ მაქსველი თავისიანებს მხოლოდ ქომაგობით თუ დაეხმარებოდნენ. საეჭვო იყო ენდრიუ მერთენსის მინდორზე გასვლაც, თუმცა „შავების" დამრტყმელმა მაინც ითამაშა და მასპინძლების გამარჯვებაშიც ლომის წილი დაიდო.

მერთენსმა თავი შეხვედრის დასაწყისშივე გამოიჩინა. მისი ზუსტი საჯარიმოთი კრაისტჩერჩი დაწინაურდა. მალე მანვე ანგარიშში სხვაობა გააორმაგა. თუმცა „მთიელები" დანებებას არ აპირებდნენ და შეტევაზეც გადავიდნენ. საიმონ მალინგი რამდენიმე შებოჭვის მცდელობას დაუსხლტა და მატჩის პირველი ლელო გაიტანა. ამას თან კრაისტჩერჩელი ლეონ მაკდონალდის 10 წუთით გაძევებაც დაერთო. მან ყვითელი ბარათი ტონი ბრაუნის სახიფათოდ შებოჭვის გამო მიიღო, თუმცა რიცხვმრავლობით დანიდინმა ვერ იხეირა. მეტიც, ის 10 წუთი 3:6 წააგო. მერთენსის ორ საჯარიმოს ბრაუნმა ერთით უპასუხა. ტაიმის მიწურულს კი რონ კრაიბმა დაალელოვა მოწინააღმდეგე და მისი გუნდი მერთენსის გარდასახვის შემდეგ 19:8 დაწინაურდა.

შესვენების შემდეგ მასპინძელთა დამრტყმელმა მალევე მოიხვეჭა კიდევ ექვსი ქულა (25:8), თანაც ტონი ბრაუნმა ტრავმის გამო მინდორი დატოვა და შეხვედრის ბედიც, ფაქტობრივად, გადაწყდა. ბაირონ კელეჰერმა კი მოახერხა ანგარიშის შემცირება და დანიდინელებიც შტურმზეც გადავიდნენ, მაგრამ ძალა არ ეყოთ და მარიკა ვუნიბაკასაც ველარ შეუშალეს ხელი ორი ლელოს გატანაში. მან ჯერ 70-ე წუთზე გამოიჩინა თავი, მერე კი მსაჯის მიერ წამატებულ დროში. პირველი ლელო მერთენსმა გარდასახა, ხუთ წუთში „ჯეიდ სტედიუმზე" თავმოყრილი ქომაგების ოვაციების თანხლებით მან მინდორი დატოვა და ვუნიბაკას მეორე ლელო ამიტომაც დარჩა გარდაუსახავი. იმ ორ ქულას კი ფინალისტის ვინაობაზე გავლენის მოხდენა ნაღდად აღარ შეეძლო.

ანგარიში კანბერაშიც მასპინძლებმა გახსნეს საჯარიმოთი. ეს სტერლინგ მორტლოკმა გააკეთა. ამ გუნდების წინა შეხვედრისგან განსხვავებით (მეექვსე ტურში კანბერამ 65:0 გაანადგურა მოწინააღმდეგე), ამჯერად იოჰანესბურგი გაცილებით უკეთესად თამაშობდა და მალე გრანტ ესტერჰუიზენმა ჯენი ფან დერ უოლტის სალელოე პასიც მიაწოდა. სამხრეთაფრიკელთა შერკინება იმ დღეს ბრწყინვალე იყო და ამის ხარჯზე იმავ ფან დერ უოლტს მეორე ლელოს გატანაც შეეძლო, მაგრამ მასპინძლები ჯორჯ გრეგანმა გადაარჩინა.

კანბერელები უხეიროდ ირჯებოდნენ, ბევრ შეცდომას უშვებდნენ და თამაშის სადავეების ხელში აღებას ვერ... ფრით ახერხებდნენ. თანაც ჯასტინ ჰა... რისონიც გაუძევეს დროებით. თუმცა ამ 40 წუთში მასპინძლები მორტლო... კის საჯარიმოთი მაინც წინ გავიდნენ, ცოტა ხანში კი სტუმართა ვილი მე... ერს, ალბათ, უსამართლოდ ეჩვენა თა... ვისი გუნდის რიცხობრივი უპირატე... სობა და გრეგანს ისეთი უთავაზა, მსა... ჯმა უყოყმანოდ მიაბრძანა მინდორი... დან 10 წუთით. შესვენებამდე გუნდებს მეტი ქულა აღარ მიუთვლიათ.

იოჰანესბურგს არც მეორე ტაიმში ეწერა ქულების მოხვეჭა. კანბერამ კი გააფთრებით შეუტია და მიუხედავად „კატების" თავგანწირული დაცვისა, სა... მი ლელოს გატანა მოახერხა. პირვე... ლმა თავი ენდრიუ უოლკერმა გამოი... ჩინა, ვისთვისაც ეს მეცამეტე ლელო იყო თორმეტ თამაშში. ერთი სიტყვით, ამ ნახევარფინალშიც ფავორიტმა გაიმარჯვა, თუმცა ანგარიშში ასეთი სხვა... ობის მიუხედავად, გამარჯვება იოლი ნამდვილად არ ყოფილა.

**ᲒᲐᲘᲝᲖ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ**

**ᲬᲧᲜᲐᲠᲘ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ**

პირველი ტური

20 მაისი

**ᲙᲐᲜᲐᲓᲐ 29:11 ᲢᲝᲜᲒᲐ**
**ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ 22:47 ᲤᲘᲯᲘ**

*სამოა და აშშ ისვენებდნენ*


გელა ოთარაშვილი


ბიძინა გუჯაბიძე


აფი გიგანი

# ბაბუს რეკორდი და დაკარგული ქვეშაგები

## აგრეთვე ინკოგნიტო კაცისა და შერპი ქალის ამბავი

*ლჰოცზეზე ასული ქართულ-რუსული ექსპედიციის წევრები (ზედა ფოტოებზე ამ გუნდის ქართველი მთამსვლელები არიან აღბეჭდილნი) რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში, საბაზო ბანაკში მშვიდობით დაეშვნენ. მის წევრებს ჯერჯერობით ვერ გადაუწყვეტიათ ექსპედიციის შემდგომი გეგმა, რადგან იქ უამინდობაა. ამიტომ აქ ამოსული ექსპედიციების მესამედმა, მიუხედავად იმისა, წარმატებას მიაღწია თუ არა, გუდა-ნაბადი აიკრა. რამდენიმე მათგანმა თავი ძალიან გამოიჩინა. ქვემოთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ასვლებზე მოგითხრობთ.*

მართალია, მთამსვლელები სპორტის მრავალი სახეობის წარმომადგენლებივით წამზომს არ ებრძვიან, მაგრამ მათაც აქვთ დროსთან დაკავშირებული არაოფიციალური რეკორდები, რისკენაც ერთი ათეული წელია მიისწრაფვიან. ერთი ასეთი რეკორდის ავტორი გახდა ნეპალელი შერპი მთამსვლელი ბაბუ ჩირი შერპა. 21 მაისს, როცა ქართულ-რუსული ექსპედიციის წევრები ლჰოცზეზე ავიდნენ, იგი სამხრეთის საბაზო ბანაკიდან თავქუდმოგლეჯილი გავარდა და 15 საათისა და 56 წუთის მერე დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმას (ევერესტი, საგრარმატხა) კენწეროს მოექცა. ბაბუს იქ არ დახვდა შარშან 6 მაისს დატოვებული საკუთარი მთამსვლელური ყვითელი ქვეშაგები, რომელზეც 20 საათი გაატარა, რაც დედამიწის სახურავზე ყოფნის ხანგრძლივობის რეკორდია. თანაც, ბაბუმ ის 20 საათი ჟანგბადის ბალონის გამოუყენებლად გაძლო.

ამ ფენომენალური ფიზიკური შესაძლებლობების კაცმა ჯომოლუნგმაზე ახლაც ჟანგბადის გამოუყენებლად ირბინა და იმავე დღეს დაეშვა სამხრეთ უნაგირაზე, სადაც ღამე გაათია. 22-ში მან საბაზო ბანაკში დაშვება დაიწყო და, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაიღალა, თავს მაინც კარგად გრძნობს.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთიდან ამგვარი ელვისებური ლაშქრობის ავტორი გახლავთ იტალიელი ჰანს კამერლანდერი, რომელმაც საბაზოდან გაქცევის მერე 16 საათსა და 45 წუთის შემდეგ სამყაროს დედამიწის უმაღლესი წერტილიდან გადახედა. ეს მოხდა 1996 წლის 24 მაისს.


ბაბუ ჩირი შერპა
თავის ცოლთან ერთად

მაგრამ დავუბრუნდეთ წლევანდელ მაისს. ბაბუ შერპამდე სამი დღით ადრე ჯომოლუნგმაზე სამ შერპ მამაკაც მთამსვლელთან ერთად ავიდა 27 წლის ქალი ლაკრა შერპა. როგორც ნეპალის ტურიზმის სამინისტრო იუწყება, ლაკრა შერპა, ამ ქვეყნის ისტორიაში მეორე ქალია, ვინც დედამიწის უმაღლეს წერტილს მიაღწია.

ლაკრა შერპას ასვლის მეორე დღეს, 19 მაისს მოჰყვა ცნობილი იტალიელი მთამსვლელის სერჯიო მარტინის ასვლა ლჰოცზეზე, რითაც მან დედამიწის თოთხმეტივე რვაათასიან მწვერვალზე ლაშქრობები დააგვირგვინა.

ამგვარად, სერჯიო გახდა მეშვიდე ადამიანი, ვინც რვაათასიანების სრული კომპლექტი შეკრიბა. მანამდე ეს შესძლეს: რაინჰოლდ მესნერმა (იტალია), ერჟი კუკუჩკამ (პოლონეთი), ერჰარდ ლორენტანმა (შვეიცარია), კარლოს კარსოლიომ (მექსიკა), კრისტოფ ვიელიცკიმ (პოლონეთი) და ჟან ოირზაბალმა (ესპანეთი).

საინტერესოა, რომ 51 წლის სერჯიო მარტინი კხუმბუს მყინვარზე მდებარე საბაზო ბანაკში აპრილის დასაწყისში ყველა სხვა ექსპედიციების წევრებთან ერთად მარტოდმარტო ავიდა, ოღონდ რატომღაც ინკოგნიტოდ. იგი ყველა ექსპედიციის წევრს შეუთანხმდა, რომ მისი სახელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის არ ეხსენებებინათ, მაგრამ თუ იგი ადგილობრივ ხელისუფალთა უნებართვოდ ავიდა მწვერვალზე, მაშინ მას, ალბათ, ნეპალში შემდგომ ლაშქრობებს აუკრძალავენ. თუმცა, ეს იტალიელი ამაზე ალბათ არც ინაღვლებს, რადგან დაულაშქრავი რვაათასიანი აღარ დარჩა. მან ბოლო მიზანს სლოვენიელთა ექსპედიციის წევრებთან, აკო პერევნიკთან და მილან რომიჩთან ერთად მიაღწია.

შეგახსენებთ, რომ სერჯიო მარტინი ქართველ მთამსვლელთა კარგი ნაცნობია. იგი შარშან დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ჩრდილოეთიდან მოლაშქრე ირაკლი ციხისელთან, მერაბ ხაბაზთან და ირაკლი უგულავასთან ერთად ავიდა.

მაშინაც ვწერდით, რომ სერჯიომ ჯომოლუნგმაზე ასვლით თოთხმეტივე რვაათასიანზე ლაშქრობა დაასრულაო და, ვისაც ეს ახსოვს, ალბათ ახლანდელი ინფორმაცია დააბნევს.

საქმე ისაა, რომ სერჯიო ლჰოცზეზე მანამდეც ავიდა. ფაუსტო დი სტეფანისთან ერთად. ის ასვლა მეტად სქელ ნისლში განხორციელდა, რის გამოც მათ მწვერვალზე ვერც სურათები გადაიღეს და, ცხადია, მათი იქ ყოფნა ვერავინ დაინახა. ბოლოს მათი ასვლა ყველამ არ დაიჯერა და ეს ამბავი სკანდალურად გახმაურდა. სერჯიოს ჯიუტად არც დაუწყია მტკიცება, გინდათ თუ არა დამიჯერეთ, რომ ლჰოცზეზეც ავედიო, უბრალოდ, ადგა და ახლა ავიდა იქ, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ბებერი ხარის რქების ამბავი და რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მთამსვლელია.


სერჯიო მარტინი


ლაკრა შერპა

**ავთანდილ გურასაშვილი**



# PLAY OFF

## ნახევარფინალი

# ეშმაკებმა პური ჭამეს

ალმოსავლეთი

22 მაისი

**ფილადელფია — ნიუ ჯერსი 3:2**

**ფილადელფია — ნიუ ჯერსი 1:4**

0:2 1:1 0:1

0:1 არნოტი 10'25 (4); 0:2 ჰოლიკი 15'15 (3); 0:3 სიკორა 21'47 (6); 1:3 ზელეპუკინი 35'45 (1); 1:4 ელიაში 40'54 (5)

ფილადელფიას ეს მატჩიც რომ მოეგო და სერია ჩაემთავრებინა, დიდი უსამართლობა იქნებოდა. ის, რომ „მფრინავებმა“ ორი საგარეო შეხვედრა მოიგეს, უფრო ნიუჯერსელთა შეცდომებით გახლდათ განპირობებული და ანგარიში სრულიადაც არ ასახავდა ყინულზე დატრიალებულ მოვლენებს. და აი, სამართალმა პური ჭამა. გავარდნის საფრთხის წინაშე მდგომმა „ეშმაკებმა“, ამჯერად ერთობ დალაგებულად და ორგანიზებულად ითამაშეს და მთელი 60 წუთის განმავლობაში უპირატესობას ფლობდნენ. ნიუ ჯერსი დასაწყისიდანვე სჯობდა მეტოქეს და დაწინაურდა კიდეც. როგორც კი სტუმრები რიცხვმრავლობაში აღმოჩნდნენ, კარგი კომბინაცია გაითამაშეს და ჯეისონ არნოტმა ჩვეული პოზიციიდან ძლიერი დარტყმით დალაშქრა ბრაიან ბუშეს კარი. ხუთ წუთში ნიუ ჯერსიმ სხვაობა გააორმაგა — ვლადიმირ მალახოვმა, რომლის თამაშიც წინა შეხვედრში ქომაგთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა, მოედნის შუაგულში პასი ჩაჭრა და საპასუხო კონტრშეტევის შედეგად ბობი ჰოლიკმა ამ სერიაში მესამე შაიბა მიითვალა.

საბოლოოდ კი ყველაფერი პეტრ სიკორას გოლმა გადაწყვიტა. მთლიანობაში კი ნიუჯერსელთა პირველმა სამეულმა — სიკორა-არნოტი-ელიაშის შემადგენლობით სამი შაიბა გაიტანა. „დღეს ჩვეულად ვერ გავისარჯეთ. პირველ პერიოდში საკადრისად არ ვიბრძოლეთ და ეს ძვირად დაგვიჯდა“ — თქვა მატჩის შემდეგ ფილადელფიელთა ლიდერმა ჯონ ლეკლერმა. ასე იყო თუ ისე, ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა, რაც ბოლო მატჩებში უშელავათო პაექრობას გვპირდება. მით უმეტეს, რომ ფილადელფია პლეი ოფში პირველად მოუყრის თავს სრულ შემადგენლობას. მეხუთე შეხვედრაში უკვე დაბრუნდა დეიმონ ლენგკოუ, მაგრამ, რაც მთავარია, ერიკ ლინდროსმა, როგორც იქნა, ექიმებისგან მიიღო ყინულზე გასვლის ნებართვა.

**სამველ ლარიბიანი**

*ბომბარდირები: ჰალი (დალასი) 17 (7+10); რეკი (ფილადელფია) 17 (6+11); იაგრი (პიტსბურგი) 16 (8+8); მოდანო (დალასი) 15 (8+7); დედმარში 15 (4+11); ფორსბერგი (ორივე — კოლორადო) 13 (6+7); ელიაში 13 (5+8); სიკორა (ორივე — ნიუ ჯერსი) და ლეკლერი (ფილადელფია) 12 (6+6); ჰრდინა 12 (4+8); სტრაკა (ორივე — პიტსბურგი) 13 (3+9); დეჟარდენი და პრიმო (ორივე — ფილადელფია) 12 (2+10)*



REUTERS
ნიუჯერსელი ბობი ჰოლიკის ამ შეტევას გოლი მოჰყვა


**თბილისის მერიის სპორტის სამმართველო და მონარდეთა სპორტკლუბი „შევარდენი 91“**

25-28 მაისს აწყობენ

**თბილისის ღია ჩემპიონატს ნარდში**

ქალთა და კაცთა შორის, მიძღვნილს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი

შეჯიბრების პროგრამაშია:
ქართული (მოკლე) ნარდი
გრძელი ნარდი
გუნდური პირველობა
წყვილთა შეჯიბრება
სპორტული ნარდი — საერთაშორისო წესებით.



**მონაწილეობენ საქართველოს უძლიერესი მონარდეები**

მონაწილეთა რეგისტრაცია და ძირითად შეჯიბრში გადასასვლელი მინი-ტურნირები გაიმართება 24-25 მაისს 11 საათიდან.

შეჯიბრების დასაწყისი: 25 მაისს 15 საათზე, 26, 27, 28 მაისს 11 საათიდან.

*მისამართი: წერეთლის პროსპექტი 118, დიდუბის გამოფენის მიმდებარე ტერიტორია, რესტორანი „დიდუბე“*





# ოლიმპიური გრაფია



REUTERS

ხუმრობენ ხოლმე, შიშველი ფერადკანიანის ფოტო ეთნოგრაფიაა, შიშველი თეთრკანიანისა კი პორნოგრაფიაო. ჰოდა, სანამ მავანნი „60 წუთს“ დასდევენ, ვისარგებლებთ და ამ ორი გრაფიის ნიმუშებს შემოგთავაზებთ.

ეული ტიტველი ქალბატონი რუსი, ოღონდ ავსტრალიის მოქალაქე ტატიანა გრიგორიევაა, ვისი პროფესიაც შემდეგში მდგომარეობს — დაიჭერს უზარმაზარ ჯოხს ხელში და... მოკლედ, ჭოკით მხტომელია, რაშიც ოლიმპიადის დღეებშიც დარწმუნდებით.

ეს ფოტო ჟურნალ „ბლექ პლას უაითის“ (შავი პლუს თეთრი) საგანგებო ნომერში მოვიძიეთ. იქ კიდევ 28 მომავალი ოლიმპიელის ნუდისტური სურათია. ერთ-ერთ მათგანზე ავსტრალიის სოფტბოლის ეროვნული გუნდის წევრები სამაიობენ.

მიკრონეზიელ ბელად რურჩერუდელ იეჩადს კი ოლიმპიური ჩირაღდანი ჩავარდნია ხელთ და ორ მცველთან ერთად დავალების დროულად შესასრულებლად ემზადება.

| იტალია | შვეიცარია |
|---|---|
| პლეი ოფი | XII ტური |
| პარმა 1:3 ინტერი | ქსამაქსი 1:2 ლოზანა |
| 0:1 რ. ბაჯო (35), 1:1 სტანიჩი (70), 1:2 რ. ბაჯო (83), 1:3 სამორანო (90) | ამხანაგური მატჩი |
| | უელსი 0:3 ბრაზილია |

# გაიხარე, ჯორჯ

*„როცა მოვკვდები, მაინცდამაინც იმას ნუ გაიხსენებთ, რომ ღვინით სავსე ტიკჭორა ვიყავი“ — გამოსწორებული და ღვიძლწამხდარი ლოთის, დიადი ფეხბურთელის ჯორჯ ბესტის ეს სიტყვები დღეს განსაკუთრებულად ჟღერს. ამ ზამთარს ლოთობის გამო სიკვდილს გადარჩენილი და ლონდონში ნამკურნალევი ბესტი ახლა წვეთ სპირტიანსაც აღარ ეკარება და, როგორც თავად ამბობს, გალონებით სვამს წყალსა და ჩაის. ამ დღეებში ბესტი 54 წლისა შესრულდა და დაბადების დღეც უალკოჰოლოდ აღნიშნა — ვენეციაში გაემგზავრა ცოლ ალექსისთან ერთად. ეს არის დედამიწის ყველაზე რომანტიკული ადგილი დედამიწის ზურგზეო. ჩვენც ვულოცავთ ირლანდიელ ჯადოქარს, როგორც იტყვიან, დიდხანს იყოს და კარგად. ბევრი არ ყოფილა მისთანა მინდორზე... რის ბევრი? ცალი ხელი გვეყოფა ჩამოსათვლელად.*






# შესვენებისას

მარტინა ნავრატილოვა ყველას მოხუცი გვგონია, მაგრამ დიდი ოსტატობა არ ბერდება. მარტინა ახლა მადრიდშია და ვარჯიშობს. დღე-დღეზე აქ ღია პირველობა იწყება, რომელშიაც დიდი ჩეხ-ამერიკელი წყვილებში ითამაშებს და მოახლოებული დიდი ტურნირებისთვის მოემზადება. შიგადაშიგ კი თავის ლეკვ ბენისაც ეფერება, სულ, მტერმა ივარჯიშა.



REUTERS

# კაიოს მორისგან

*ტოკიოს დიდი შეჯიბრი სუმოს მთაკაცთა შორის ვეტერან კაიოს მოუგია. აგე, როგორ გადაუქცევია ტამაკასუგა. სპორტის და ეროვნულობის მოყვარე, ძველი მორაგბე და მოვარჯიშე, ახლა კი ორი თვის პრემიერ-მინისტრი ეოშირო მორიც იქა ყოფილა. ჰოდა, ვინ მოასწრებდა თასის გადაცემას?*



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge